ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 10 აპრილი, 2023 №70 (9106) ფასი: 80 თეთრი

სადგურის მოედნიდან შეიარაღებულმა პირმა ტაქსი გაიტაცა

გვ.5



„კობახიძე რასაც კადრულობს, ავადმყოფური ილუზიაა, რუსეთსაც არ უკადრია!“

გია ხუხაშვილი: „კეზერაშვილს თავისი ინტერესი აქვს. მან ზუსტად იცის, რომ ბიძინას ვერასოდეს ვერ მოუგებს არჩევნებს, მაგრამ მთავარი ოპოზიციური ძალა ხომ მის ხელში იქნება და ამით ივაჭრებს“



გვ.2

„ივანიშვილმა მთავარი რაც გააკეთა, ის კი არ ამტკიცა, რომ თვითონ იყო კარგი, მან დაამტკიცა, რომ ყველა ნაგავია. ყველა ტალახში ამოთხვარა“

მოსამართლეთა დასანქცირება სხვა პროცესების დეტონატორი ხდება

გვ.3

კელი დეგნანი: „ეს არის შესაძლებლობა, მოხდეს რეაგირება სასამართლოში კორუფციასთან დაკავშირებულ ბრალდებებზე“

„დასანქცირება თუ გაგრძელდება, სახიფათოა ქვეყნისთვის“

გვ.4

ლევან ალაფიშვილი: „ამერიკა საკუთარი გადამხდელების ფულს გვაძლევს, როგორც მეგობარი, რათა რეფორმები გავატაროთ, რომ რეალური სასამართლო გვქონდეს“

მერაბ ტურავა: „ჩვენ არ ვიცით, რას გულისხმობდა სახელმწიფო დეპარტამენტი სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეზე“

გვ.5

ლაზარე გრიგორიადისისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში ვარცხნილობის შეცვლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

ირაკლი ღარიბაშვილი: „აზერბაიჯანი არის არა მხოლოდ ჩვენი მეგობარი და მეზობელი, არამედ ძალიან ძლიერი სტრატეგიული პარტნიორი“

გვ.2

4 „გენერალ ლებედს, რომელიც რუსულ ტანკებს მოუძღვებოდა, საარჩევნო კამპანია ივანიშვილმა დაუფინანსა“

5 სალომე ზურაბიშვილმა 1989 წლის 9 აპრილის და მიმდინარე წლის მარტის აქციების მონაწილე ქალები ღირსების მედლით დააჯილდოვა

5 ვაკეში, ქვანიას ქუჩაზე მომხდარი სროლის ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო

6 იქნება თუ არა საალდგომო ზავი რუსეთ-უკრაინას შორის?!

1993230720223

„კობახიძე რასაც კადრულობს, ავადმყოფური ილუზიაა, რუსეთსაც არ უკადრია!“

გია ხუხაშვილი: „ივანიშვილმა მთავარი რაც გააკეთა, ის კი არ ამტკიცა, რომ თვითონ იყო კარგი, მან დაამტკიცა, რომ ყველა ნაგავია. ყველა ტალახში ამოთხვარა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი პასუხობს.

– ბატონო გია, 9 აპრილია და საკმაოდ სიმბოლური დღეა. 34 წელი გავიდა 1989 წლის 9 აპრილიდან და დღესაც რუსული იმპერიის წინააღმდეგ გვიწევს ბრძოლა. ხელისუფლება კი სწორედ აქეთ გვექაჩებაო. რა უნდა დღეს „ქართულ ოცნებას“, საით მიჰყავს ქვეყანა?

– სამწუხარო და სევდიან რეალობაში ვართ დღეს, როდესაც არის მცდელობა საბჭოური სისტემის მხრიდან სერიოზული კონტრშეტევის. მე ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხში შეთქმულებას ნამდვილად არ განვავითარებ. ეს შეტევა, რა თქმა უნდა, მოდის რუსეთის მხრიდან, რომელიც ამბობს, რომ მისი სურვილია აღადგინოს მოდერნიზებული საბჭოთა კავშირი. საქართველოში ის მოქმედებს რბილი ძალით.

– რაში გამოიხატება ეს რბილი ძალა?

– ეს არის დემოგრაფიული, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტტექნოლოგიური ექსპანსია და ჩვენ ვხედავთ, რომ ქართული მედიის საკმაოდ სერიოზული ნაწილი, ამ კამპანიაშია, ანტიდასავლურ, ანტიამერიკულ კამპანიაშია ჩართული. მეთოდი რა არის? გარყვნა, კორუფცია, კომპრომატი და ამის შემდეგ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მართვა. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ გარკვეულწილად, რუსეთის იმპერიამ საკმაოდ წინ წაიწია ამ მხრივ. ეს ძალიან კარგად ჩანს ბევრი მიმართულებით. თუნდაც ეს ბოლო მოვლენები ავიღოთ – სასამართლო სისტემაში განვითარებული მოვლენები. ის პარადოქსი, როდესაც ადამიანები და მათ შორის ჩემი მეგობრები, რომლებსაც რეჟიმთან ბრძოლის დროშაზე, გირგვლიანის სახე ჰქონდათ გამოკვეთილი, დღეს კბილებით იცავენ გირგვლიანის ტრაგედიის ერთ-ერთ თანამონაწილე მოსამართლე მურუსიძეს.



„კეზერაშვილს თავისი ინტერესი აქვს. მან ზუსტად იცის, რომ ბიძინას ვერასოდეს ვერ მოუგებს არჩევნებს, მაგრამ მთავარი ოპოზიციური ძალა ხომ მის ხელში იქნება და ამით ივაჭრებს“

– ძალიან აქტიური კამპანია გაჩაღდა ამ მიმართულებით.

– წარმოუდგენელი რაღაცაა, დავუშვათ იგივე „უცნობი“, როდესაც ამბობს, რომ ეს არის ჩარევა და ამერიკის ვიზას დახევს, დიდი ბოდიში და მურუსიძეს იცავს?! ამერიკელებმა ჩვენ რა გვითხრეს?! გვითხრეს ის, რაც ჩვენ ისედაც ვიცოდით. რა ხდება სასამართლო სისტემაში? ადამიანი, რომელიც იქცა ჩვენი ბრძოლის ანტიგმირად, მურუსიძის სახით. მე არ ვამბობ, რომ მურუსიძე მთავარი დამნაშავე იყო გირგვლიანის საქმეში. ის ერთ-ერთი თანამონაწილე იყო, მაგრამ ის იქცა სიმბოლოდ. როგორ შეიძლება ადამიანები, რომლებიც გირგვლიანზე საუბრობენ, მის ტრაგედიაზე და ამით აპელირებენ წინა რეჟიმთან ბრძოლის დროს, ახლა იცავდნენ ასეთ ადამიანს. თუ ისინი ამას აკეთებენ, მაშინ რასთან გვაქვს საქმე?! რა ჰქვია ამას?!

– ხელისუფლება და მისი მხარდამჭერები, აქტიურ კამპანიაში ჩაერთნენ და აქტიურად იცავენ დასანქცირებულ მოსამართლეებს და ლანძღავენ დასავლეთს. კონკრეტული მტკიცებულებები და ფაქტები დაგვიდონონ.

– დიდი ბოდიში, მაგრამ ეს დიდი აბსურდია. სანქცირება ეს არის პოლიტიკური აქტი. ეს არ არის სამართლებრივი, ვერდიქტი ხომ არ გამოუტანია და ხომ არ დაუჭერიათ ეს მოსამართლეები?! პოლიტიკური აქტის მტკიცებულება კი არასოდეს არავის არ დაუდია.

ეს არის სპეციფიკური ინფორმაცია, მათ შორის სპეციალური მეთოდებით მოპოვებული და, ბუნებრივია, აქ არავინ მტკიცებულებების მოპოვების წყაროებს და მეთოდებს არ გახსნის. თუ უცნობს და სხვებს, კიდევ სჭირდებათ მურუსიძეზე იმის დადასტურება, ის რა კაცია, მაშინ ამ ქვეყანაში რაღაც არ არის წესრიგში. პირად ურთიერთობაშიც და ყველანაირად. ბევრჯერ გვილაპარაკია ამაზე და ვიცით, რასთანაც გვაქვს საქმე. როდესაც მეგობარი გეუბნება, რომ შენი ოჯახის წევრი ოჯახს ანგრევს, იპარავს ოჯახიდან და შენ იმ მეგობარზე ბრაზდები, რატომ გითხრა ეს და არა პრობლემის მოგვარებაზე, ეს არ არის ჯანსაღი აზროვნება.

– რეაქციებიდან გამომდინარე, ვხვდებით, რომ ხელისუფლება ამ კუთხით არაფრის გაკეთებას არ აპირებს, პირიქით, მტრად შერაცხა დასავლეთი. რა მოლოდინი გაქვთ, პროცესების როგორ განვითარებას ელით?

– ბუნებრივია, უნდა ველოდოთ ამ ურთიერთობის შემდგომ დეგრადაციას. რასაც ყავს ერთადერთი ბენეფიციარი, ერთადერთი მოსარგებლე, ეს არის რუსეთი. დღეს სამყარო ორ ნაწილად არის გაყოფილი, ორპოლუსიანი გახდა. ჩვენ არა გვაქვს მესამე არჩევანი, ილუზიაა მესამე არჩევანზე საუბარი. ჩვენ მივდივართ სისტემურად ან დასავლეთისკენ, ან რუსეთისკენ. ბუნებრივია, ჩვენი ურთიერთობა ფუჭდება დასავლეთთან, ამ წარმოუდგენელი პოლიტიკის გამო. ბუნებრივია, ჩვენი გზა საბჭოთა კავშირშია, მეტი გზა საერთოდ არ არსებობს. ან ეს ერთ-ერთი გახმაურებული თემა სამი პლუს სამი ფორმატზე, როდესაც სამი რეგიონული მოთამაშე იყოფს სამ პატარა ქვეყანაში საკუთარ ინტერესებს. დიდი ბოდიში, მაგრამ სამს პლუს სამი ვერაფრით ვერ ჯობია საბჭოთა კავშირში გაერთიანებას, ეს იგივეა. რუსეთს ეს კარგად ესმის. როდესაც აქ დაიწყება კამპანია, რომ სამი პლუს სამი არ გვინდა, რუსეთი გვეტყვის, მაშინ რა არის ამის ალტერნატივა? არ გინდათ მანდ იყოს წარმოდგენილი თურქეთის და ირანის ინტერესები? თუ ეს არ გინდათ, მაშინ ჩემთან მოდით.

– და სხვა გზა არ გვექნება?

– ფაქტობრივად, დღეს იქმნება 1783 წლის წინა პერიოდის მოცემულობა, თუ ასე გააგრძელა ხელისუფლებამ, როდესაც ერეკლე მეორე ნამდვილად იძულებული იყო ტრაქტატზე ხელი მოეწერა. მე მას ამას ფინალში უკვე შეცდომად არ ვუთვლი, რა თქმა უნდა. მას უბრალოდ სხვა გზა არ ჰქონდა. მას ჰქონდა არჩევანი ცუდსა და უარესს შორის და ქვეყანა რომ გადაერჩინა, ამისათვის მან არჩია ნაკლები უბედურება რუსეთის იმპერიის სახით. დღეს, ისე მიჰყავს ხელისუფლებას საქმე, რომ შეიქმნება წინაპირობა, როდესაც რუსეთი შეიძლება გახდეს ცუდსა და უარესს შორის უკეთესი. გამომდინარე იქიდან, რომ ხელისუფლებამ რუსეთზე უკეთესი არჩევანი აღარ დაგვიტოვოს ამ სიბრიყვით და ამ დანაშაულით. მერე გვეტყვიან, აბა რა ვქნათ, მეგობრებო, სხვა გზა არაა, უნდა მოვაწეროთ ტრაქტატზე ხელი. აქეთ მიჰყავს ვიღაცას საქმე.

– ვინაა ეს ვიღაც?

– ეს ვიღაცა ვინ არის, როგორ აკეთებს ამას ყველაფერს, ეს უკვე ისტორიაში დაიწერება, არ მინდა ახლა თეორიების განვითარება.

– ძალიან ცოტა დროა და წამმზომიც ჩართულიაო. რას მოიმოქმედებს ბიძინა ივანიშვილი. მოსამართლეების დასანქცირება არ იყო მისთვის სიგნალი?

– ივანიშვილმა იმდენი სიგნალები ნახა, ეს ხომ არ არის პირველი შემთხვევა, ყველაფერი ხომ აშკარად ჩანდა. მანამდე, ორი კვირით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ითხოვდა უკვე მის სანქცირებას. არ დაგავიწყდეთ, რომ ივანიშვილი საფრანგეთის მოქალაქეა. მეტი რა

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ირაკლი ღარიბაშვილი: „აზერბაიჯანი არის არა მხოლოდ ჩვენი მეგობარი და მეზობელი, არამედ ძალიან ძლიერი სტრატეგიული პარტნიორი“

– აზერბაიჯანი არის არა მხოლოდ ჩვენი მეგობარი და მეზობელი, არამედ ძალიან ძლიერი სტრატეგიული პარტნიორი, სავაჭრო პარტნიორი, მრავალი წლის განმავლობაში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან ერთობლივი განცხადებებისას აღნიშნა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველო და აზერბაიჯანი არაერთ მნიშვნელოვან პროექტზე მუშაობს, რათა განავითარონ ე.წ. მწვანე კორიდორი. პრემიერის განცხადებით, საქართველოს და აზერბაიჯანს აქვს დიდი პოტენციალი, რომ მიაწოდოს ევროპას მწვანე, განახლებადი ენერგია.

– ჩემთვის დიდი პატივია, ვიმყოფებოდე ამ ძალიან ლამაზ ადგილას, მე მინდა პირველ რიგში, მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარს, ჩვენს მეგობარს, აზერბაიჯანის პრეზიდენტს, ბატონ ილჰამ ალიევს, ჩემნი მასპინძლობისთვის ამ ულამაზეს ადგილას.

თქვენ აღნიშნეთ, რომ რამდენიმე თვის წინ იმყოფებოდით საქართველოში, ჩვენ მაშინ დავიწყეთ ახალი ტრადიციის დანერგვა, როცა არა მხოლოდ დედაქალაქს ვსტუმრობდით, არამედ რეგიონებსაც ვსტუმრობთ. ეს ვფიქრობ, ძალიან კარგი ინიციატივაა, კარგი ტრადიციაა და ამ ტრადიციას ვაგრძელებთ დღეს ამ რეგიონში სტუმრობით. მე მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ქართველებისთვის თქვენთან, აზერბაიჯანთან აზერბაიჯანელ ხალხთან მეგობრობას, ძმობას. ჩვენ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გვაქვს, გვაქვს ძალიან ძლიერი პარტნიორობა. აზერბაიჯანი არის არა მხოლოდ ჩვენი მეგობარი და მეზობელი, არამედ ძალიან ძლიერი სტრატეგიული პარტნიორი, სავაჭრო პარტნიორი, მრავალი წლის განმავლობაში. ჩვენ თქვენთან ერთად გვაქვს განხორციელებული ისტორიული მნიშვნელობის პროექტები, რამაც კიდევ უფრო მეტად დააკავშირა ჩვენი ერები, კიდევ უფრო მეტად გახადა ურთიერთდამოკიდებულები, რომელიც საუკუნეები გასტანს. ჩვენ არაერთხელ გვიხსენებია ის ისტორიული მნიშვნელობის პროექტები, რომელიც



განხორციელებულია და რომელიც წარმატებით მუშაობს. საქართველო ძალიან სანდო სატრანზიტო პარტნიორი ქვეყანაა ამ მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებისთვის.

როგორც აღნიშნა ბატონმა პრეზიდენტმა, ჩვენ ვმუშაობთ, არ ვჩერდებით. ვმუშაობთ ახალ ინიციატივებზე, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა შავი ზღვის ელექტროკაბელი, იმისთვის, რომ განვავითაროთ ე.წ მწვანე კორიდორი. საქართველოს და აზერბაიჯანს აქვს დიდი პოტენციალი, რომ მიაწოდოს ევროპას მწვანე, განახლებადი ენერგია, რაც რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის პერსპექტიული, ეს არის მომავალი და ამ მიმართულებით ჩვენ, ორივე ქვეყანამ მეტი ინვესტიცია უნდა ჩავდოთ და სწორედ ამ საკითხებზეც გვქონდა ჩვენ საუბარი, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ბუნებრივია, ეს ზრდის რისკებს ქვეყნებისთვის.

– ასეთი გამოწვევა არ ყოფილა ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ჩვენი მთავარი ამოცანა, ჩვენი მთავარი ინტერესი არის მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნება, რაც არის საფუძველი მეტი კეთილდღეობის ჩვენი ხალხებისთვის. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა, რომ გვქონდეს ძლიერი ეკონომიკური ზრდა, შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილები, მეტი კეთილდღეობა ჰქონდეს ჩვენს ხალხებს. ამ ნაწილში ჩვენ სრული თანხვედრა გვაქვს. ჩვენ გვინდა მეტი პროექტები განვახორციელოთ, რაც კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს, დააკავშირებს ჩვენს ქვეყნებსა და ჩვენს ერებს.

მე ასევე მინდა ვთქვა, რაც უკვე ბატონმა პრეზიდენტმა აღნიშნა, შუა დერეფნის განვითარების შესახებ. ჩვენ ვმუშაობთ ერთობლივად, კოორდინირებულად ამ მიმართულებით. ჩვენი სურვილია, რომ წლების განმავლობაში, უახლოეს მომავალში ყველა ის ბარიერი მოიხსნას, უნდა განვავითაროთ ერთობლივად ინფრასტრუქტურა, იქნება ეს პორტები, რკინიგზა. იცით, რომ ჩვენ ვაპირებთ დავიწყოთ წელს ახალი პორტის მშენებლობა, ანაკლიის პორტის მშენებლობა. ასევე ჩვენ, დაახლოებით ერთ წელში, დავასრულებთ რკინიგზის გაფართოების პროექტს. მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები ასევე ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მიმართულებით. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს და გაზრდის ტვირთბრუნვას ჩვენი რეგიონის მიმართულებით. ეს არის ის ძირითადი საკითხები, რომელზეც ჩვენ გვქონდა საუბარი.

მსურს, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა არის რეგიონში მშვიდობის შენარჩუნება.

მისი თქმით, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, ძალიან წარმატებით.

– ჩვენი კავშირები მოიცავს მრავალ მიმართულებას, თავდაცვას, განათლებას, კულტურას, ტურიზმს, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, სოფლის მეურნეობას, ვაჭრობის გააქტიურე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო ვოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

მოსამართლეთა დასანქცირება სხვა პროცესების დეტონატორი ხდება

კელი დეგნანი: „ეს არის შესაძლებლობა, მოხდეს რეაგირება სასამართლოში კორუფციასთან დაკავშირებულ ბრალდებებზე“

მარიამ მჭედლიშვილი

ორშაბათს, 10 აპრილს, გადაწყდება, დაინიშნება თუ არა პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, რომელზეც გადაწყდება, იქმნება თუ არა დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია სასამართლო სისტემაში არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით. პრეზიდენტი, სავარაუდოდ, გაითვალისწინებს საპარლამენტო ოპოზიციის თხოვნას პარლამენტის რიგგარეშე სხდომის დანიშვნაზე. რიგგარეშე სხდომაზე კომისიის შექმნას კენჭს უყრიან და ამ ინიციატივას შეიძლება ხმები არ ეყოს.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებისა და პარლამენტის თავმჯდომარეს პოზიცია იმას მიანიშნებს, რომ „ქართული ოცნება“ და მასთან აფილირებული „ხალხის ძალა“ ამ კომისიის შექმნის მომხრე არ არის. ეს პოლიტიკოსები არც კომისიის შექმნას მიესალმებიან და მედგრად იცავენ იმ მოსამართლეებს, რომელთა სანქცირების შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა გამოაცხადა.

შეგახსენებთ, რომ 5 აპრილს გამოცხადდა, რომ სანქციები (სავიზო შეზღუდვები აშშ-ში) დაუწესდათ მიხეილ ჩინჩალაძეს, ლევან მურუსიძეს, ირაკლი შენგელაიას და ვალერიან ცერცვაძეს. ცერცვაძის გარდა, ყველა მოქმედი მოსამართლეა.

ცხადია, რომ მოსამართლეებისა და სასამართლო სისტემის ამბავი საპარლამენტო კომისიის შექმნა-არშექმნით არ დასრულდება. მოსამართლეთა დასანქცირება და ამაზე გამოხმაურება (ზოგჯერ – არაადეკვატური) ხდება სხვა პროცესების დეტონატორი. საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვს სანქცირებული მოქმედი მოსამართლეების გადადგომას, მოსამართლეთა კლანის მხილებას, რეფორმებს, კორუფციასთან ბრძოლას და სასამართლოს პოლიტიკური გავლენისგან გათავისუფლებას.

სასამართლო რეფორმაც და კორუფციასთან ბრძოლაც შედის იმ 12 რეკომენდაციაში, რომელიც საქართველოს აქვს შესასრულებელი, რათა ქვეყანა გახდეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი. სანქციების დამწესებელი სახელმწიფოს ელჩი, კელი დეგნანი ჟურნალისტების შეკითხვას – ხომ არ შეუშლის სანქციები ხელს საქართველოს ევროპერსპექტივას? – ოპტიმისტურად პასუხობს. მას იმედი აქვს, რომ სასამართლო სისტემაში პრობლემები მოგვარდება.

კელი დეგნანი:

– ეს არის შესაძლებლობა, მოხდეს რეაგირება სასამართლო სისტემაში კორუფციასთან დაკავშირებულ ბრალდებებზე. ეს არის შესაძლებლობა, მოხდეს დემონსტრირება, რომ მთავრობა ერთგულია კორუფციასთან ბრძოლისა და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებისა. სასამართლო სისტემის რეფორმა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არის იმ 12 რეკომენდაციის ნაწილი, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს იმისთვის, რომ მიმდინარე წლის ბოლოს კანდიდატის სტატუსი მიიღოს. იმედი მაქვს, რომ საქართველო მას მიიღებს. გვესმის, რომ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა შესასრულებელი. გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისათვის, რომ სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნები შესრულდეს. მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრულყოფილი რეფორმირება.

პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ ქვეყანა ოთხ მოსამართლეს არ უნდა გადაჰყვეს. მისი აზრით, აუცილებელია ანალიზი და რეფორმები.

სალომე ზურაბიშვილი:

– ქვეყანა არ იმსახურებს, რომ საკითხი პოლარიზაციის გაღრმავების მიზეზი გახდეს არც შიდა ძალებს შორის და არც ჩვენს საერთაშორისო მეგობრებთან ურთიერთობაში. მეგობარმა ქვეყანამ, შესაძლოა, დაუნდობლად გვითხრას სათქმელი, მაგრამ ნუ გავიბუტბით, ნუ გავბრაზდებით, ნუ გვიხარია. გავაანალიზოთ, რა მოხდა, რატომ და რა არის გამოსასწორებელი.

მოქმედი სანქცირებული მოსამართლეები გადადგომას არ აპირებენ. „ოცნება“ ვაშინგტონისაგან გადაწყვეტილების დასაბუთებას და მეტ სამხილს მოითხოვს. სანქცირებულ მოსამართლეთა მომხრეები, განსაკუთრებით, კოლეგა მოსამართლეები თავიანთ გამოხმაურებებში ყველაზე ემოციურები გამოდგნენ. მათმა ანტიამერიკულმა გამონათქვამებმა რუსულ პროპაგანდასაც გადაამეტა.

ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით კი იურისტი, სასამართლო კლანს ამხელს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, მამუკა ახვლედიანი და ყოფილი დეპუტატი, იურისტი ეკა ბესელია აცხადებენ, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერები ირაკლი კობახიძე და მამუკა მდინარაძე მჭიდროდ არიან დაკავშირებული სასამართლო კლანთან.

– ეს ხალხი ჩინჩალაძის ჯგუფის წარდგენით მოხვდა პარლამენტში, – აღნიშნავს მამუკა ახვლედიანი.

პარტია „ტრიბუნას“ თავმჯდომარე დავით ჭიჭინაძე სანქცირებაზე მწვავე რეაგირებას ლოგიკურად მიიჩნევს. ის პროგნოზსაც აკეთებს.

დავით ჭიჭინაძე:

– დასანქცირდება ჩხარტიშვილიც და ყველა, ვინც „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ძარცვავს ქვეყანას. სხვადასხვა მაღალჩინოსნის „ჯნავილი“ დღეს იმიტომ გვესმის, რომ გადასარევად იციან – ბევრი მათგანი სწორედ სანქცირების რიგში დგას. უკვე სანქცირებული მოსამართლეები ივანიშვილმა წამოჩიტა, მან აქცია გავლენიან მილიონერებად. თორემ, საკაშვილის ვერტიკალში იმდენად დაბალ დონეს წარმოადგენდნენ, რომ ადეიშვილის ხელის ბიჭები განსაზღვრავდნენ მათ ბედს.

„ქართული ოცნების“ წევრი რატი იონათამიშვილი იხსენებს, რომ წინა ხელისუფლების დროს არაერთმა მოსამართლემ გამოიტანა ბევრი უსამართლო განაჩენი. ეს მართლაც ასე იყო. იონათამიშვილი იმას არ ახსენებს, რომ ახლანდელმა ხელისუფლებამ არაფერი იღონა სამართლიანობის დასამყარებლად, არ ამბობს იმას, რომ რეპუტაციაშელახულ მოსამართლეებს ამავე ხელისუფლებამ სასათბურე პირობები შეუქმნა და ზოგიერთს „სისტემის მსხვერპლი“ უწოდა.

რატი იონათამიშვილი:

– ჩვენ ყველაფრის ერთმანეთთან შედარება შეგვიძლია. გავიხსენოთ ნაცმოძრაობის პერიოდი, როცა მოსამართლეებმა 300.000 თანამოქალაქე გაასამართლეს. ამ საქმეების უმრავლესობა იყო პირადი ან პოლიტიკური ანგარიშსწორება. ამ სისტემის შემქმნელების მიმართ, იქნება ეს საკაშვილი, ადეიშვილი თუ კეზერაშვილი, მსგავს გადაწყვეტილებას არ ჰქონდა ადგილი.

„კრიტიკული მომენტი დეკემბერში დადგება“

მოვლენების კულმინაციური მომენტი არ დამდგარა. ბუნებრივია, რომ მოსამართლეთა სანქცირების საკითხი მარტო მართლმსაჯულებას და კორუფციას არ ეხება. უახლოეს მომავალში წყდება საქართველოს ბედი.

შექმნილ სიტუაციას აფასებს ოპოზიცია. „გირჩი-მეტი თავისუფლებას“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე ვარაუდობს, რომ საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს ვერ მიიღებს, რაც გამოიწვევს გარკვეულ პროცესებს.

– ვფიქრობ, კრიტიკული მომენტი დეკემბერში დადგება, როცა, დიდი ალბათობით, ამ სტატუსზე უარი იქნება. მერე რა მოხდება, ამის პროგნოზირება რთულია, – აღნიშნავს ჯაფარიძე.

„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ამ სიტუაციაშიც კოლეგებს ძალების გაერთიანებისკენ მოუწოდებს.

– ოპოზიციამ კეთილი ინებოს და საქმე აკეთოს. საქმე ამ შემთხვევაში იქნება ოპოზიციის გაერთიანება. ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს იმისთვის, რომ 2024 წელს მაინც იყოს შესაძლებელი ერთიანი ოპოზიციური ძალისხმევით ხელისუფლების მთლიანად შეცვლა და გაშვება თუ არა, კოალიციის შექმნა მაინც.

ოპოზიციის მსჯელობა პერსპექტივაზე გასაკვირი არ არის. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ღირსშესანიშნავი მოვლენაა, მაგრამ, სავარაუდოდ, საქართველოში მანამდეც არანაკლებად საინტერესო და მძაფრი პროცესები განვითარდება.

დიდი ალბათობით, საქართველო გახდება დასავლეთის ნაწილი და მას ექნება დამოუკიდებელი სამართლიანი სასამართლო და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტები.

„კობახიძე რასაც კადრულობს, ავადმყოფური ილუზიაა, რუსეთსაც არ უკადრია!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სიმპტომი უნდოდა?! ჩვენ არ ვიცით, რა ხდება კულისებს მიღმა. რა ვალდებულებებია, როგორ არის, აქვს თუ არა ივანიშვილს თავისუფალი მანევრი. თუ უკვე შეზღუდული აქვს. ეს დეტალები არ ვიცით ჩვენ.

– იმ ფონზე, როდესაც გამოდის კობახიძე და შანტაჟის ენით საუბრობს, სატელეფონო ჩანაწერებს გამოვაქვეყნებთო, რა მოლოდინი უნდა გვქონდეს?

– სატელეფონო ჩანაწერების გამოქვეყნებას რაც შეეხება, ეს არის საერთაშორისო ურთიერთობებში ისეთი პლინტუს ქვემოთ მუქარა, რომ რუსეთიც კი არ კადრულობს ამას. რუსეთს არ უკადრია არასოდეს, დიპლომატიური არხებით, რაღაც სატელეფონო საუბრების გასაჯაროება. ეს არის ფე-ეს-ბეს ყველაზე ავადმყოფური ილუზიების ნაწილი. წარმოუდგენელი რაღაცაა. დიდი ბოდიში, მაგრამ კობახიძემ ფეხები არავის მოჭამოს თავისი ჩანაწერების გამოქვეყნებით!

– პრეზიდენტის როლი ამ ვითარებაში? ვისმენთ შეფასებებს, რომ სალომე ზურაბიშვილის პოზიციები საკმაოდ შეცვლილია. გუშინ ოპერაში შეხვედრა გამართა ქართველ ქალებთან. არის შანსი, რომ გადამწყვეტი როლი ითამაშოს მან? მისცემენ ამის საშუალებას?

– ჯერჯერობით ჩვენ ვხედავთ სალომე ზურაბიშვილისგან ძალიან სწორ პოზიციებს, მაგრამ ქმედება მისი მხრიდან ჯერ არ გვინახავს. შესაბამისად, მე არ ვიცი, რას იზამს. მას, რა თქმა უნდა, შეუძლია რეალური, სწორი პროცესის ინიცირება. არა უბრალოდ სწორი განცხადებების კეთება, რასაც ვისმენთ, არამედ რაღაც პროცესის დაწყება. ჯერჯერობით ის ამ მხრივ არაფერს არ აკეთებს.

– რას იტყვით ოპოზიციაზე? ნაცმოძრაობის ინიციატივით აქცია გაიმართა რუსთაველზე. რა მოლოდინი გაქვთ? სუსტი რომ არის ოპოზიცია, ესეც ფაქტია.

– აქაც არა გვაქვს კარგი მდგომარეობა. საერთოდ ჩვენი პოლიტიკური ელიტა არის მთლიანად კომპრომეტირებული. ამ 10 წლის განმავლობაში, ივანიშვილმა მთავარი, რაც გააკეთა, ის კი არ ამტკიცა, რომ თვითონ იყო კარგი, მან დაამტკიცა, რომ ყველა ნაგავია. ყველა ტალახში ამოთხვარა. შესაბამისად, პოლიტიკური ელიტა დისკრედიტირებულია, მათ არა აქვთ ნდობა და იმისათვის, რომ მათ შეძლონ რეალური პოლიტიკური პროცესის ინიცირება, პირველ რიგში, სჭირდებათ ის, რომ აღიდგინონ ხალხის ნდობა. ხალხს უნდა ელაპარაკონ და ხალხს არ ელაპარაკებიან. მუშაობაა საჭირო და მუშაობა არ უნდათ. მათ უნდათ, რომ დილას დაიწყონ და საღამოს დაამთავრონ. ახლაც იტყვიან, რომ დავიწყებთ და დავამთავრებთ. სინამდვილეში, ვერაფერს ვერ დაამთავრებენ. სწორედ ეს არის ივანიშვილის მთავარი კოზირი. ბიძინა ივანიშვილი ეუბნება სამყაროს, რომ კი ბატონო, მე შეიძლება ცუდი ბიჭი ვარ, მაგრამ ესენი საერთოდ ვინ არიან?!

– კეზერაშვილის გააქტიურებაზე რას იტყვით? ესეც ბიძინას თამაშიაო.

– კეზერაშვილს თავისი ინტერესი აქვს. მან ზუსტად იცის, რომ ბიძინას ვერასოდეს ვერ მოუგებს არჩევნებს, მაგრამ მთავარი ოპოზიციური ძალა ხომ მის ხელში იქნება და ამით ივაჭრებს. აი ეგ არის მთელი ქართული პოლიტიკა. ძალიან მძიმე ბრძოლაა წინ. იმედია, რომ ჩვენი დასავლელი პარტნიორები არ მიგვატოვებენ და ჩვენ ერთად გადავტეხთ სიტუაციას.

ირაკლი ღარიბაშვილი: „აზერბაიჯანი არის არა მხოლოდ ჩვენი მეგობარი და მეზობელი, არამედ ძალიან ძლიერი სტრატეგიული პარტნიორი“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბას და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის დღევანდელი ვიზიტი ამაში კიდევ უფრო დიდ წვლილს შეიტანს. ძალიან დიდი მადლობა და მოგესალმებით აზერბაიჯანში, – აღნიშნა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, საქართველო და აზერბაიჯანი კრიტიკულად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში ევროპაში და ეს როლი კიდევ უფრო იზრდება.

– ჩვენი შეხვედრა ხშირია, 6 თვის წინ ვიმყოფებოდი თქვენთან საქართველოში, თქვენი სტუმარი ვიყავი, თქვენ დღეს სტუმრობთ აზერბაიჯანს. ჩემი ვიზიტის განმავლობაში საქართველოში ვიმყოფებოდი მცხეთაში და დღეს თქვენ გაბალას რეგიონში ბრძანდებით. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან კარგი ტრადიცია ჩამოგვიყალიბდა და საოცარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის საშუალება გვეძლევა როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში. ეს აძლიერებს ჩვენს მეგობრობას.

საქართველო და აზერბაიჯანი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ბევრი წელია უკვე მეგობრები, პარტნიორები ვართ. ჩვენი ხალხი, ჩვენი მოსახლეობა ერთმანეთის ძმებად მიიჩნევენ თავს და გვინდა, რომ ჩვენი ორმხრივ თანამშრომლობა კიდევ უფრო განვითარდეს, რათა ჩვენი ერების მომავალს წაადგეს. დღეს საუბარი გვქონდა ბევრ მნიშვნელოვან საკითხსა და შეთანხმებაზე, რომელიც მიღწეულია და საშუალებას მოგვცემს სამომავლო საქმიანობა განვახორციელოთ.

რა თქმა უნდა, საქართველო და აზერბაიჯანი კრიტიკულად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში ევროპაში და ეს როლი კიდევ უფრო იზრდება ყოველდღიურად. ეს მეგობრული კავშირები ჩვენს ქვეყნებს შორის და თანამშრომლობა ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, გადამწყვეტია ევროპის ენერგოუსაფრთხოებისთვის. ყოველწლიურად ჩვენ ვზრდით ბუნებრივი აირის მიწოდების მასშტაბს და მოცულობებს ევროპისკენ. წელს აზერბაიჯანმა გადაწყვიტა 20 მლრდ კუბური მეტრი მიაწოდოს საერთაშორისო ბაზრებს. ეს მაჩვენებელი იზრდება და ჩვენი ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოვაწერეთ ევროკავშირთან გასულ წელს, ამ მემორანდუმის თანახმად, 2027 წლისთვის ჩვენ ევროპას მივაწვდით 20 მლრდ-ზე მეტ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს. ესაა ჩვენი სამიზნე ორიენტირი და იმედი მაქვს, ამას მივაღწევთ, – განაცხადა ილჰამ ალიევმა.

პირისპირ შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობისა და რეგიონალური უსაფრთხოების საკითხები განიხილეს.

საუბარი შეეხო კავკასიის რეგიონისა და ევროპის დამაკავშირებელი შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის ისტორიულ პროექტს. ირაკლი ღარიბაშვილმა და ილჰამ ალიევმა პროექტის მიმდინარეობის დინამიკაზე იმსჯელეს და პროექტთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები მიმოიხილეს.

ასევე, განიხილეს საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებით არსებული ინტენსიური თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები.

„დასანქცირება თუ გაგრძელდება, სახიფათოა ქვეყნისთვის“

ლევან ალაფიშვილი: „ამერიკა საკუთარი გადამხდელების ფულს გვაძლევს, როგორც მეგობარი, რათა რეფორმები გავატაროთ, რომ რეალური სასამართლო გვქონდეს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ოთხი მოსამართლის დასანქცირებას დიდი ვნებათაღელვა მოყვა. რამდენად იყო მოსალოდნელი ასეთი გადაწყვეტილება?

– თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ყველაფერი სწორედ აქეთკენ მიდიოდა. შეიძლება ვიღაცისთვის მოულოდნელი იყო სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილება, მაგრამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სტრატეგიული პარტნიორებისგან იყო რჩევები, მერე გაფრთხილება, რომ აუცილებელი იყო დემოკრატიული რეფორმები. განსაკუთრებით ეს ეხებოდა სასამართლო სისტემას, როგორც დემოკრატიის ქვაკუთხედს, მაგრამ ამის სანაცვლოდ რა ხდებოდა – ლანძღვა, გინება ელჩების, ამერიკის ელჩის, ევროკავშირის ელჩის. მერე იყო შარლ მიშელის დოკუმენტის თავზე გადახევა მთლიანად დემოკრატიული, დასავლური სამყაროსთვის.

ამერიკა არის სტრატეგიული პარტნიორი, მაგრამ როდესაც სტრატეგიულ გზას ხარ აცდენილი, მაშინ მეგობრები ცდილობენ, ამ გზაზე დაგაბრუნონ. მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეებს უნდათ ევროპული, დასავლური ცივილიზაციის ნაწილი იყვნენ. ამისთვის კი საჭირო ის რეალური რეფორმები, რომელიც ამ ოჯახში შეგვიყვანს ამ ქვეყნის ხელისუფლებამ გაატაროს.

კონკრეტულად რომ ვისაუბროთ, ამერიკა საკუთარი გადამხდელების ფულს გვაძლევს, როგორც მეგობარი, რათა რეფორმები გავატაროთ, რომ რეალური სასამართლო გვქონდეს. ისეთი სასამართლო, რომლის დამოუკიდებლობაშიც ეჭვს ვერავინ ვერ შეიტანს. ჩვენმა სახელმწიფომ რითი უპასუხა, ფული მოგვეცი, დანარჩენი ჩვენ ვიცით, თქვენი რჩევები არ გვჭირდებაო. ასე არ ხდება. ამერიკაც ვალდებულია საკუთარი მოქალაქეების წინაშე, გადამხდელების წინაშე, რომლის ფულსაც გვიგზავნის ოკეანის გაღმიდან.

ამდენად, ძალიან მარტივად დგას საკითხი. როგორც ჩანს, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო, საფუძვლიანი გადაწყვეტილებების დროც დადგა. ამდენი გაფრთხილების თუ რჩევის შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტმაც მიიღო გადაწყვეტილება, თუნდაც საკუთარი მოქალაქეების წინაშე რომ ყოფილიყო მართალი ერთი მხრივ და მეორე მხრივ, საქართველოს ხელისუფლებას უთხრან, რომ დროა სტრატეგიულ ხაზს დაუბრუნდნენ, თორემ ასე შორს ვერ წავალთ, ვერც სახელმწიფო და ვერც ვერავინ.

– შეიძლება ეს პროცესი გაგრძელდეს?

– დიახ, თუ ეს პროცესი ერთხელ დაიწყო, ის აუცილებლად გაგრძელდება. თუ იგივე რიტორიკა გაგრძელდება და იგივე განცხადებებით გამოვლენ და ჭკუის დარიგებას დაუწყებენ ამერიკას, ევროკავშირს, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს პროცესი გაგრძელდება. თუ ჭკუას მოუხმობენ და შეცვლიან მიდგომას, დამოკიდებულებას და რეალურად დაუბრუნდებიან ქვეყნის დემოკრატიზაციას, რეალურ რეფორმებს გაატარებენ, შეასრულებენ 12-პუნქტიან გეგმას, მაშინ არც სანქციები იქნება და არც გაფრთხილებები, მაშინ იქნება ევროკავშირის წვერი ქვეყნის სტატუსიც და სხვა დახმარებაც, რომელიც აუცილებლად სჭირდება ქვეყანას დასავლეთისგან.

დასანქცირების პროცესის გაგრძელება ბევრი მიმართულებით არის სახიფათო ქვეყნისთვის. პირველ რიგში, ეს დაარტყამს ქვეყნის იმიჯს. თუ დღეს ხელისუფლება ეკონომიკური ზრდით ამაყობს, ძალიან ცოტა დრო იქნება საჭირო იმისთვის, რომ ეს ყველაფერი ეკონომიკაზე აისახოს. ელემენტარულად საერთაშორისო ბიზნესი, უცხოური ფული შემოდინებას შეწყვეტს. უცხოური ბიზნესი უარს იტყვის შემოსვლაზე. ეს ძალიან სახიფათო იქნება ეკონომიკისთვის. ცხადია, ეს ყველაფერი ინვესტორთა ქცევაზე აისახება.

– 2024 წელს არჩევნებია, რა გავლენას იქონიებს ამომრჩეველზე სანქციები, ევროკავშირის დადებითი თუ უარყოფითი გადაწყვეტილება?

– ხელისუფლება ემზადება არჩევნებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია წინ. ასეთი მნიშვნელოვანი არჩევნების დროს გადამწყვეტი როლი აქვს როგორც საარჩევნო ადმინისტრაციას, ისე სასამართლო სისტემას. როდესაც სასამართლო სისტემა მმართველ პარტიასთან ანუ ხელისუფლებასთან არის შეზრდილი, ყველაფერი გასაგები და ნათელია. ასეთ დროს ძალიან რთული ხდება დემოკრატიული გზით ხელისუფლების ცვლილება. ამიტომ აქვს მნიშვნელოვანი როლი დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლო სისტემას ქვეყანაში. დამოუკიდებელი სასამართლო ბევრ ნეგატიურ მოვლენას აზღვევს, იცავს სახელმწიფოს. ეს კარგად ესმით ამერიკაში, ევროკავშირში. ამიტომაც ითხოვენ ჩვენგან დამოუკიდებელ სასამართლოს, როგორც დემოკრატიის გარანტს.

საზოგადოება

მეუფე შიო: „მიზნად დავისახოთ, რომ შევუდგეთ ქრისტეს“

– მიზნად დავისახოთ, რომ შევუდგეთ ქრისტეს... ვიაროთ იმ ვიწრო გზით, რომელიც მიმყვანებელია სასუფეველში, რომ დავემკვიდროთ იქ, სადაც ბრწყინავს მიუაჩრდილებელი დიდება და ნათელი ყოვლადწმინდისა სამებისა..., – ამის შესახებ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) ქადაგებისას განაცხადა.

მეუფე შიომ ქადაგების დროს 9 აპრილს დაღუპულები გაიხსენა და სამშობლოსთვის თავდადებულების სულთა მოსახსენიებლად პანაშვიდი გადაიხადა.

– ქრისტეს მიერ საყვარელნო მამანო, ძმანო და დანო, გილოცავთ დღევანდელ დიდებულ დღესასწაულს, დღეს არის უფალი იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში. გადმოგცემთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევას.

ეს დღე იყო ერთ-ერთი ყველაზე საზეიმო დღე უფალ იესო ქრისტეს მიწიერ ცხოვრებაში. მთელი იერუსალიმი შეიძრა, როდესაც შეიტყო ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების შესახებ და განიზრახეს, საზეიმოდ შეხვედროდნენ იერუსალიმში შემავალ იესო ქრისტეს.

მართლაც, როდესაც უფალი იესო ქრისტე შედის ქალაქში, მას ეგებებიან პალმის რტოებით ხელში და ფერხთით უგებენ თავიანთ შესამოსელს. ჩვენ რომ გავიგოთ ამ სიმბოლური მოქმედების მნიშვნელობა, უნდა გავიხსენოთ, რომ ძველ აღმოსავლეთში შესამოსელი ნიშნავდა გარკვეულ სულიერ მდგომარეობას. ამიტომ, როდესაც შესამოსელს ვინმეს ფერხთით უგებდნენ, ეს იყო ნიშანი განსაკუთრებული მოწიწებისა, პატივისცემისა, სიყვარულისა. აი, ასე შედის უფალი ქალაქში.

თითქოს სიხარულით სავსე უნდა ყოფილიყოს მისი გული, მაგრამ სახარება გვაუწყებს, რომ როდესაც გამოჩნდა ქალაქი, უფალი ატირდა ამ სიხარულის ნაცვლად და მტირალი შედის იერუსალიმში, იმიტომ, რომ მან, როგორც ყოვლისმცოდნემ, უწყის – იგივე ხალხი, იგივე ერი, რომელიც დღეს გალობს და გაიძახის – „ოსანა დავითის ძეს, კურთხეულ არს მომავალი მეუფე უფლის სახელით, მშვიდობა ცათა შინა და დიდება მაღალთა შინა – აი, ასეთი შეძახილებით ხვდებოდნენ და ზუსტად ხუთიოდე დღეში იგივე ერი იყვირებს პილატეს წინაშე: „ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი ეგე!“ უფალი სულიერად განჭვრეტს იმ საშინელ სასჯელს, რომელიც ელოდება იერუსალიმს და ისრაელის ერს იმისთვის, რომ მან არ მიიღო ქრისტე. რა საზარელი დღეები ელოდება მას იმპერატორ ვესპასიანეს ჟამს, როდესაც მხედართმთავარი ტიტუსი გაანადგურებს ქალაქს.

და აი, უფალი იესო ქრისტე ასეთ სიტყვებს წარმოთქვამს, ვიმეორებ, მტირალი როდესაც შედის იერუსალიმში: „ნეტავი ახლა მაინც გცოდნოდა, რა მოგანიჭებს მშვიდობას, მაგრამ ამჟამად დაფარულია ეს შენს თვალთაგან, ვინაიდან ვერ შეიცანი ჟამი შენი მოხილვისა“ – ბრძანებს უფალი იესო ქრისტე, როცა მიმართავს იერუსალიმს. ამავე დროს იგი ამბობს: „და ამიტომ, მოვლენ დღენი, როდესაც მტერი ალყაში მოგაქცევს, მუსრს გაავლებს შენს შვილებს, ქვას ქვაზე არ დატოვებს შენში, ვინაიდან ვერ შეიცანი შენი მოხილვის ჟამი“. აი, ეს სიტყვები კარგად უნდა გვახსოვდეს ჩვენ, ძვირფასო ძმებო და დებო, ვინაიდან უფალმა ეს უთხრა არა მხოლოდ იერუსალიმს და იქ შეკრებილ ხალხს, არამედ ყოველ ჩვენგანს. „ახლა მაინც გცოდნოდა, რა მოგანიჭებს მშვიდობას“, იმიტომ, რომ ეს ჟამი უფლის მოხილვისა, როცა ჩვენ გვესტუმრება უფალი თავის სულიწმიდის მადლით, განა ცოტაა ჩვენს ცხოვრებაში ასეთი დღეები თუ წუთები, როდესაც ჩვენ, მიუხედავად ამისა, ვერ ვაცნობიერებთ იმას, რომ ეს არის ჩვენი გადარჩენისა და ჩვენი მშვიდობისთვის.

მრავალნაირად მოდის სულიწმიდის მადლი ადამიანთან. ეს შეიძლება იყოს დიდი ნუგეშისა და დიდი სიხარულის სახით, მაგრამ როდესაც უფალს უნდა, შეგვაჩეროს ჩვენს მრუდე, არასწორ გზებზე და ჩვენ არ შევისმენთ, არ გულისხმავყოფთ ამ ნუგეშის სახით მის მოსვლას, შეიძლება მოიხილოს უფალმან ჩვენზე სხვადასხვა განსაცდელის სახით: შეიძლება ეს იყოს მძიმე სენი, შეიძლება ეს იყოს ახლობლების დაკარგვა, შეიძლება ეს იყოს დამდაბლება და შეურაცხყოფა და ა.შ. ჩვენ, სამწუხაროდ, იმის მაგივრად, მივხვდეთ, რომ ეს ღვთისგან არის ჩვენი მშვიდობისა და გადარჩენისთვის, ვდრტვინავთ და უარვყოფთ ღმერთს, როგორც იმ ხალხმა უარყო მესია, უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

აი, დავიხსომოთ ეს სიტყვები: „ნეტავ ახლა მაინც გცოდნოდა შენი მოხილვის ჟამი“ და მიზნად დავისახოთ, რომ შევუდგეთ ქრისტეს, ვინაიდან მან თავად ბრძანა: „ვინც მე მემსახურება, მევე შემომიდგეს, სადაც მე ვიქნები, ჩემი მსახურიც იქ იქნება“.

გილოცავთ, ძვირფასო ძმებო და დებო, დღევანდელ დღეს, ღმერთმა გაგახაროთ, გაგაძლიეროთ, დაგლოცოთ და ამრიგად შევუდგეთ ჩვენ ქრისტეს, ვიაროთ იმ ვიწრო გზით, რომელიც მიმყვანებელია სასუფეველში, რომ დავემკვიდროთ იქ, სადაც ბრწყინავს მიუაჩრდილებელი დიდება და ნათელი ყოვლადწმინდისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმინდისა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამინ!

როგორც იცით, დღეს არის 9 აპრილი. ჩვენ ახლა გადავიხდით პანაშვიდს 9 აპრილს სამშობლოსთვის თავდადებული ჩვენი ძმების და დების სულთა მოსახსენიებლად, ვილოცებთ მათი სულების ცხონებისა და ჩვენი სამშობლოს გადარჩენისთვის, დამოუკიდებლობისა და გამთლიანებისთვის, ამინ! – განაცხადა მიტროპოლიტმა შიომ.

ლევან ხაბეიშვილი: „გენერალ ლებედს, რომელიც რუსულ ტანკებს მოუძღვებოდა, საარჩევნო კამპანია ივანიშვილმა დაუფინანსა“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ, ლევან ხაბეიშვილმა რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციაზე სიტყვით გამოსვლისას ხელისუფლებისადმი 4 მთავარ მოთხოვნაზე ისაუბრა. მან სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას 4 მოთხოვნის ირგვლივ გაერთიანებისა და დისკუსიისკენაც მოუწოდა.

– ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლისთვის, იმისთვის, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მივიღოთ, ჩვენთვის ნომერ პირველი მოთხოვნა არის ლაზარეს თავისუფლება.

მეორე მოთხოვნა, რომელსაც ასევე სჭირდება თქვენი თანხმობა – თქვენ ნახეთ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პოზიცია, რომელმაც თქვა და ეს ჩვენ ისედაც კარგად ვიცოდით, უბრალოდ მთელს მსოფლიოში მოგვჭრა თავი რუსულმა ოცნებამ და ახლა უკვე ოფიციალურად ამერიკელები ამბობენ, რომ კორუმპირებული, ქრთამისტი და პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებს რომ იღებენ, ასეთი მოსამართლეები ჰყავს საქართველოს და ჩვენ უნდა მოვითხოვოთ დასანქცირებული მოსამართლეების დაუყოვნებლივი გადადგომა.

რაც შეეხება მესამე მოთხოვნას, იცით, რომ ევროკავშირის 12 პუნქტში არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, დეპოლარიზაცია, რომელიც ცხადია, სააკაშვილის და გვარამიას გათავისუფლების გარეშე არ გამოვა.

მეოთხე მოთხოვნაც უკავშირდება 12 პუნქტის შესრულებას და გვინდა გამოვყოთ რამდენიმე პრიორიტეტი, ეს არის დეოლიგარქიზაციის კანონი, სასამართლო რეფორმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეფორმა.

ამ უმნიშვნელოვანეს დღეს, როცა საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და შემდეგ უკვე გაფორმდა 1991 წელს – არ დაგვავიწყდეს ბიძინა ივანიშვილის ბიოგრაფია. ალექსანდრე კატუსოვი – არის ასეთი პროკურორი, რომელმაც 9 აპრილზე თქვა, რომ ყველაფერი იყო კარგად და ჩვენი გმირები იქით დაადანაშაულა. ეს კაცი ამ ყველაფრის შემდეგ მუშაობდა ბორის ივანიშვილის ბანკში და იყო ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი. გენერალი ლებედი, რომელიც ფაქტობრივად წინ მოუძღვებოდა რუსულ ტანკებს – აი ამ ლებედის საარჩევნო კამპანიის დამფინანსებელი იყო 1998 წელს ბიძინა ივანიშვილი...

ყველამ ერთად უნდა ვუთხრათ ბიძინა ივანიშვილს, რუს ოლიგარქს: წადი! – თქვა ლევან ხაბეიშვილმა მიტინგზე გამოსვლისას.

ფოთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად საბა ასლამაზიშვილი დაინიშნა

ახალგაზრდა თაობის რეჟისორი საბა ასლამაზიშვილი ფოთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა. „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რეჟისორი ამ პოზიციას პირველი ივნისიდან 4 წლით დაიკავებს. შესაბამისი ბრძანება უკვე გამოცემულია.

კონკურსი ფოთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოზიციაზე პირველად შარშან გამოცხადდა. თუმცა, კონკურსის შედეგად, სამინისტროსთან არსებულმა პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შესარჩევმა სარეკომენდაციო საბჭომ მინისტრს დასანიშნად არ წარუდგინა სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატი. ამიტომ წელს კონკურსი მეორედ გამოცხადდა. სამინისტროსთან არსებული პროფესიული სახელმწიფო თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევი სარეკომენდაციო საბჭოს დებულების თანახმად, სამხატვრო ხელმძღვანელების კანდიდატთა შესარჩევ კონკურსს აცხადებს სამინისტრო, ხოლო კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. სამინისტრო შეარჩევს არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 კანდიდატს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარდგენილია მხოლოდ ერთი კანდიდატი. შერჩეულ კანდიდატთა სია გადაეცემა სარეკომენდაციო საბჭოს, რომელიც შეარჩევს სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატურას და წარუდგენს კულტურის მინისტრს. სარეკომენდაციო საბჭო ვალდებულია, კანდიდატის წარდგენიდან 1 თვის განმავლობაში თავისი რეკომენდაცია მინისტრს გაუგზავნოს.

საბა ასლამაზიშვილი ჯერ ილიაუნიში სწავლობდა, შემდეგ თეატრალურ უნივერსიტეტში. სპექტაკლებს სტუდენტობის პერიოდიდან დგამდა. რეჟისორი დამოუკიდებელი თეატრალური კომპანია „ხვლიკის“ დამფუძნებელია. წლებია დგამს სპექტაკლებს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში კერძო და სახელმწიფო თეატრებში. არის პრემიების „წინანდლისა“ და „დურუჯის“ ნომინანტი სპექტაკლით „მარატ/სადი“. ამავე სპექტაკლისთვის დაჯილდოვდა „ვერცხლის ქოლგითა“ და ახალგაზრდა რეჟისორისთვის განკუთვნილი სპეციალური პრიზით ტაშკენტის საერთაშორისო ახალგაზრდულ თეატრალურ ფორუმზე. ციფრული თეატრალური ფესტივალის გამარჯვებულია ნომინაციაში „მაყურებლის ხმა“ სპექტაკლით „უბედურება“. მიღებული აქვს შალვა (მუმუშა) გაწერელიას სახელობის ჯილდო სპექტაკლისთვის „უბედურება“. საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაჯილდოებაზე კი მიიღო გრან-პრი სპექტაკლისთვის „ირინეს ბედნიერება“. რეჟისორი კულტურის სამინისტრომ მისი ხელშეწყობით დაფუძნებული „სიღნაღის თეატრალური ფესტივალის“ სამხატვრო ხელმძღვანელის პოზიციაზე მიიწვია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მერაბ ტურავა: „ჩვენ არ ვიცით, რას გულისხმობდა სახელმწიფო დეპარტამენტი სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეზე

– ჩვენ არ ვიცით, რას გულისხმობდა სახელმწიფო დეპარტამენტი სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეზე – ჩვენ გვინდა არა მარტო ჟურნალისტური, ასევე სამართლებრივი გამოძიებები, – ამის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ მერაბ ტურავამ განაცხადა.

მერაბ ტურავა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ოთხი ქართველი მოსამართლის მიმართ გამოცხადებულ სანქციებს გამოეხმაურა და იმედი გამოთქვა, რომ საკითხთან დაკავშირებით, „ბევრ რამეს ნათელი მოეფინება“.

– ჩვენ მოვისმინეთ ის, რაც სახელმწიფო დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და გაჟღერდა საჯაროდ, შესაბამისად, ბევრი კომენტარიც გაკეთდა ამ საკითხთან დაკავშირებით, ელჩი ამბობს, რომ ამერიკული კანონმდებლობის შესაბამისად არის გაკეთებული.

რა შეეხება კონკრეტულ მტკიცებულებებს, ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, არა მარტო კონკრეტულ მოსამართლეებს, არამედ საზოგადოებასაც აინტერესებს ღია თუ დახურული ინფორმაცია და წყაროები, რომელსაც ეს გადაწყვეტილება ეყრდნობა და იმედი მაქვს, რომ ქართულ მხარეს ექნება კომუნიკაცია – ურთიერთობები სახელმწიფო დეპარტამენტთან, ამერიკის მხარესთან და, შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრ რამეს ნათელი მოეფინება. ისინი იტყვიან: ეს რა მტკიცებულებებსა რა ინფორმაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილება იყო და, შესაბამისად, კონკრეტულად რის საფუძველზე იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება. თუ არსებობს კონკრეტული მტკიცებულებები, ამას პოლიტიკოსებიც და მოსამართლეებიც ითხოვენ და, შესაბამისად, ეს საკითხები ალბათ მომავალში გაჟღერდება. ჩვენ არ ვიცით, რას გულისხმობდა სახელმწიფო დეპარტამენტი სამ მოქმედ და ერთ ყოფილ მოსამართლეზე. ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ყოველ შემთხვევაში, გვინდა, რომ ვიცხოვროთ, შესაბამისად, ჩვენ გვინდა არა მარტო ჟურნალისტური, ასევე, სამართლებრივი გამოძიებები, – განაცხადა მერაბ ტურავამ.

ლაზარე გრიგორიადისისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში ვარცხნილობის შეცვლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო



ლაზარე გრიგორიადისის ადვოკატის, თათია მანეჟაშვილის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში ვარცხნილობის იძულებით შეცვლის ფაქტზე, გამოძიება დაიწყო.

როგორც მანეჟაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით დაიწყო.

– სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ ქვეპუნქტით დაიწყო გამოძიება, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით. ეს გამოძიება პენიტენციური დაწესებულების გადაწყვეტილებით, ლაზარე გრიგორიადისისთვის საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ვარცხნილობის შეცვლას უკავშირდება, – განაცხადა ადვოკატმა.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა ლაზარე გრიგორიადისმა 7 მარტს, რუსთაველის გამზირზე გამართული აქციის მიმდინარეობისას, 9 აპრილის ქუჩაზე შს სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების მიმართულებით, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, ორჯერ ისროლა ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი.

ასევე, გამოძიების ცნობით, ბრალდებულმა 9 მარტს, ჭანტურიას ქუჩაზე, განზრახ წაუკიდა ცეცხლი შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ „ტოიოტა კოროლას“ მოდელის ავტომანქანას, რომელიც ადგილზე დაიწვა. ამ ქმედების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტს 39 500 ლარის ქონებრივი ზიანი მიადგა.

– ლაზარე გრიგორიადისს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით (პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით) და 187-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (სხვისი ნივთის განადგურება, ცეცხლის წაკიდებით) წარედგინა, რაც სასჯელის ზომად 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – ნათქვამია გამოძიების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ცნობისთვის, ლაზარე გრიგორიადისს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა 31 მარტს შეუფარდა.

ბზის უკანონო მოჭრა კახეთსა და სამეგრელოში

ბზის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების 2 ფაქტი კახეთსა და სამეგრელოში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, ყვარელში, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, მოქალაქემ ბზის ნარგაობების დაზიანებით ტოტები (სამი ტომარა) მოიპოვა და შემდგომი რეალიზების მიზნით, ტერიტორიიდან გაჰქონდა.



მათივე ცნობით, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დობერაზენში, გადამოწმების მიზნით შეჩერებულ ავტომანქანაში, მოქალაქეს განთავსებული ჰქონდა უკანონოდ მოპოვებული ბზის 3 ერთეული ნერგი და ათეულობით ტოტი.

– ორივე ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა.

ბზის მოჭრა, ამოძირკვა ან ტოტების დაზიანება დასჯადი ქმედებაა. სანქციის ოდენობა 500-დან 1.000 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს, ხოლო თუ გარემოსთვის მიყენებული ზიანი 1.000 ლარს აჭარბებს, საქმეს სისხლის სამართლის კვალიფიკაცია ენიჭება. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურების მიერ, ბზობის დღესასწაულის მოახლოებასთან დაკავშირებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ბზის მოჭრაზე კონტროლი გამკაცრებულია, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ზუგდიდში, სოფელ ჭითაწყარში სახლი დაიწვა

ზუგდიდში, სოფელ ჭითაწყარში საცხოვრებელი სახლი დაიწვა. არავინ დაშავებულა, თუმცა განადგურებულია საყოფაცხოვრებო ნივთები და ტექნიკის ნაწილი. 4-სულიანი ოჯახი დროებით მეზობლებმა შეიფარეს.

ადგილზე სახანძრო-სამაშველო სამსახური იყო მობილიზებული. ხანძრის გამომწვევი მიზეზი უცნობია.

ვაკეში, ჟვანიას ქუჩაზე მომხდარი სროლის ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვაკეში, ჟვანიას ქუჩაზე მომხდარი სროლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ახლაც მიმდინარეობს. გამოძიება კი სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით დაიწყო, რაც ცეცხლსასროლი იარაღით განხორციელებულ ხულიგნობას გულისხმობს.

ახალგაზრდებს შორის დაპირისპირებისა და სროლის ამსახველი ვიდეოკადრები სოციალურ ქსელში გუშინ გავრცელდა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ ეჯახება გამიზნულად ერთ-ერთი ავტომანქანა მეორეს, ქვეითად მყოფები კი მანქანას ფეხებსა და ხელებს ურტყამენ. ვიდეოში ისმის ასევე სროლისა და გინების ხმა.

„ყველა გაიქცა“ — ვაკეში მომხდარი კრიმინალური გარჩევების ახალი დეტალები

ვაკეში მომხდარი კრიმინალური გარჩევა – თვითმხილველი „პირველებთან“ ყვება, რომ კრიმინალურ გარჩევაში მონაწილე პირებს, გაქცევის შემდეგ ადგილზე ავტომობილის სანომრე ნიშნები დარჩათ. შესაბამისად, შსს-ს არ უნდა გაუჭირდეს პირების იდენტიფიცირება.

– აივნიდან ვიყურებოდი, როდესაც დავინახე, რომ ისროდნენ. ყველა ვიდეოს იღებდა, ბევრმა დაინახა ეს. აუდის მარკის ავტომობილში იჯდა ერთი პიროვნება, რომლის მისამართითაც ისროდნენ. სანამ სროლა ატყდებოდა, მანამდე ისმოდა გინების ხმები, ბოლოს ყველა გაიქცა ადგილიდან. ადგილზე სანომრე ნიშნები დარჩათ, – ამბობს თვითმხილველი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვაკეში მომხდარი ქუჩური გარჩევის ფაქტზე გამოძიება 239-ე მუხლით დაიწყო, თუმცა, შეიძლება, აღნიშნული მუხლი გადაკვალიფიცირდეს. ათამდე პირს გომელაურის უწყება ჯგუფურად ჩადენილ ხულიგნობას ედავება. საგამოძიებო მოქმედებები დედაქალაქის ცენტრში, ამ დრომდე გრძელდება. გამოკითხეს საქმის ოქროს მოწმეც, გოგონა, რომელმაც გარჩევა განგსტერული წესებით მობილურით გადაიღო და შემდეგ მასალა სოციალურ ქსელში ატვირთა.

სალომე ზურაბიშვილმა 1989 წლის 9 აპრილის და მიმდინარე წლის მარტის აქციების მონაწილე ქალები — ნანა მახარაძე და ნანა მალაშხია ღირსების მედლით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა 1989 წლის 9 აპრილის აქციების მონაწილე, ქალი საქართველოს დროშით, ნანა მახარაძე და მიმდინარე წლის მარტის აქციების მონაწილე, ქალი ევროკავშირის დროშით ნანა მალაშხია ღირსების მედლით დააჯილდოვა.

კერძოდ, ნანა მალაშხია ღირსების მედლით დაჯილდოვდა საქართველოს ევროპული მომავლისთვის ბრძოლაში მტკიცე და აქტიური სამოქალაქო პოზიციის გამოვლენისათვის.

ნანა მახარაძე კი საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მტკიცე სამოქალაქო პოზიციის გამოვლენისა და საზოგადოების პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებისთვის.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ღონისძიებას მასპინძლობს, რომელიც საქართველოს თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დღეს, 9 აპრილს უკავშირდება და რომელსაც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ქალები დაესწრნენ.

იტალიაში ორი ქართველი დააკავეს

იტალიაში ორი ქართველი მამაკაცი დააკავეს. ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

მათი ცნობით, ქართველებმა ერთ-ერთი მაღაზიიდან პროდუქტების მოპარვა სცადეს, რაც დაცვამ შენიშნა და მათი შეჩერება სცადა, რასაც დაპირისპირება მოყვა.

დაპირისპირების დროს დაშავდა რამდენიმე ადამიანი. ადგილზე გამოიძახეს სამართალდამცავები, რომლებმაც ქართველები ადგილზე დააკავეს.

სადგურის მოედნიდან შეიარაღებულმა პირმა ტაქსი გაიტაცა

9 აპრილს, ღამით, პოლიციის განსაკუთრებული მობილიზება იყო სადგურის მიმდებარედ. სამართალდამცველები გამტაცებელს ეძებენ. „კურიერის“ ინფორმაციით, პოლიციამ გადამოწმების მიზნით, შეიარაღებული პირის გაჩერება სცადა, რომელიც მოთხოვნას არ დაემორჩილა.

როგორც „კურიერმა“ გაარკვია, შეიარაღებულმა პირმა, ერთ-ერთი ტაქსის კომპანიის კუთვნილებაში არსებული ავტომანქანა გაიტაცა, მოგვიანებით კი ავტომობილი რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ე.წ. იტალიურ ეზოში დატოვა და ადგილიდან მიიმალა.

გამტაცებელი უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ის სამართალდამცველების მიერ უკვე იდენტიფიცირებულია. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

გარდაბანში ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, გარდაბნის მუნიციპალიტეტში ავტოსაგზაო შემთხვევას მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. ასაკოვანი კაცი ადგილზე დაიღუპა.

დაშავდა კიდევ ორი ადამიანი, მათ შორის, მცირეწლოვანი, რომელიც იაშვილის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა შედარებით მძიმე იყო, დაშავებულ კაცს კი მსუბუქი ტვინის შერყევა და მოტეხილობები აქვს.

იქნება თუ არა სააღდგომო ზავი რუსეთ-უკრაინას შორის?!

ახლოვდება აღდგომა, რუსეთ-უკრაინის ომი კი გრძელდება. ბრძოლების მთავარი ეპიცენტრი კვლავ დონბასია, კერძოდ, ბახმუტი, ავდეევკა და მარინკა. შედარებით სიმშვიდეა უგლედარის მიმართულებით.



ყველაზე კრიტიკული მდგომარეობა კვლავ ბახმუტთანაა. ჩაიშალა რუსების მცდელობა, დაემყარებინათ კონტროლი ამ ქალაქზე. ოკუპანტებმა ვერ შეძლეს ბახმუტის აღება, ვერც ბახმუტის ცენტრზე კონტროლის დამყარება. ფეთქდებოდა ყველა შენობა, სადაც კი რუსები შეიჭრებოდნენ. გააფთრებული ბრძოლები გრძელდება, რაც რუსეთის არმიას სიქას აცლის.

რამდენიმე დღის წინ ბახმუტზე დღე-ღამეში 45 იერიში განხორციელდა. ახლა ბახმუტზე შეტევებმა დღე-ღამეში 40-მდე იკლო. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ოკუპანტებმა ტაქტიკა შეცვალეს. ახლა ისინი აქცენტს აკეთებენ არა იმდენად ბახმუტის აღებაზე, არამედ ქალაქის ალყაში მოქცევაზე. ჯერჯერობით ვერც ეს ხერხდება. ბახმუტი ფაქტიურად აღარ არსებობს. მთელი ქალაქი ნანგრევებშია. მოსახლეობის 80% გაიხიზნა. სამაგიეროდ, ბახმუტზე უკრაინული დროშა ისევ ფრიალებს.

სისხლისმღვრელი ბრძოლებია ავდეევკასა და მარინკასთანაც. რუსები აქ იმავე ტაქტიკას იყენებენ, რასაც ბახმუტში. ისინი მიისწრაფიან, რომ ჭურვებით მიწასთან გაასწორონ ხსენებული დასახლებები და შემდეგ ალყაში მოაქციონ. უკრაინელები მტერს ვალში არ რჩებიან. შედეგად ავდეევკაცა და მარინკაც ნანგრევებად იქცა, მაგრამ მტერს არ დანებდა. ორივე ქალაქს კვლავ უკრაინელები აკონტროლებენ და მათზე უკრაინული დროშები ფრიალებენ.

ამრიგად, ბრძოლები სულ უფრო გააფთრებულ ხასიათს იღებს. ჩაიშალა რუსების გეგმა, რომ უკვე ამა წლის 2 თებერვლისათვის უნდა აეღოთ ბახმუტი, ხოლო აპრილისათვის სლავიანსკი და კრამატორსკი. ამან ოკუპანტების გააფთრება გააძლიერა. დიქტატორ პუტინის ბრძანებით ბახმუტის, კრამატორსკისა და ავდეევკისაკენ მედესანტეთა ახალი ძალები გადაისროლეს.

თავის ტელეინტერვიუში პუტინმა განაცხადა:

– ჩემი ბრძანება, რომ ბახმუტი უკვე 2 თებერვლისათვის აგვეღო, არ შესრულდა. ახლა შევეცდებით, რომ ეს ქალაქი, რაც შეიძლება, სწრაფად დავიკავოთ. ჩვენ გვჭირდება გამარჯვება! საზღაურზე უკან არ დავიხევთ!

გამარჯვების ფასი მართლაც დიდია. ბრძოლები სულ უფრო ფართომასშტაბიან და სისხლიან სახეს იღებს.

რომის პაპმაც მხარეებს მიმართა:

– შემოვდივარ წინადადებით, რომ სააღდგომოდ ზავი გამოცხადდეს! მხედველობაში მაქვს როგორც მართლმადიდებლური, ისე კათოლიკური აღდგომა!

პუტინი კი თავის არაქათგამოცლილი, სისხლისაგან დაცლილი ჯარისაგან შეტევებზე გადასვლას მოითხოვს. უკრაინელები იძულებულნი არიან, თავი დაიცვან.

ბაიდენმა რუსეთს სანქციები გაუგრძელა



აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა რუსეთს სანქციები კიდევ ერთი წლით გაუგრძელა. მიზეზი უკრაინაში გაჩაღებული ომია.

– თანამედროვე დემოკრატიული სამყარო აგრესიას არავის არ შეარჩენს, – თქვა ბაიდენმა.

პუტინი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩავა

რუსეთის დიქტატორი ვლადიმერ პუტინი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩავა. ამის შესახებ იტყობინება „რია ნოვოსტი“.

სამხრეთ აფრიკაში დაგეგმილია ჩატარდეს სამიტი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ როგორც რუსეთის, ისე აზიისა და აფრიკის ქვეყნები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რუსული ბლეფი — „დოკუმენტი“ რუსების მიერაა შეთითხნილი

რუსულმა ტელეგრამ-არხებმა ე.წ. „პენტაგონის საიდუმლო გეგმა“ გამოაქვეყნა. მასში ნათქვამია, რომ მალე უკრაინული არმია კონტრშეტევაზე გადავა. დოკუმენტში მითითებულია, თუ რა იარაღი და ჯარი ჰყავს უკრაინას. შემდეგ ჩამოთვლილია ის დანაკარგები, რაც ომის დროს მხარეებმა განიცადეს. თურმე უკრაინამ უკვე 700.000 ჯარისკაცი დაკარგა, რუსეთმა კი 37.000.

– ეს ე.წ. „დოკუმენტი“ რუსების მიერაა შეთითხნილი, – ამბობს უკრაინელი ექსპერტი ოლეგ უდანოვი.

სუკის ექსპრეზიდენტი ვაშინგტონში, პოლკოვნიკი იური შვეცი აცხადებს, რომ ხსენებული „დოკუმენტი“ რუსეთის დაზვერვის მიერაა შეთითხნილი. მისი მიზანია: 1) დააშინოს უკრაინელები მოსალოდნელი კონტრშეტევის წინ; 2) გაამხნევოს რუსი ობივატელი და დაარწმუნოს, რომ უკრაინელები მარცხდებიან და უდიდეს ზარალს განიცდიან.

უკრაინელები ბახმუტის დატოვებას არ აპირებენ

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. მთავარი ბრძოლები კვლავ დონბასშია, ყველაზე კრიტიკული მდგომარეობა კი ბახმუტში. თანახმად როგორც უკრაინული, ისე რუსული წყაროების ცნობისა, ბახმუტში ვითარება მძიმეა, მაგრამ კონტროლირებადი. ჩაიშალა რუსი ოკუპანტების ყველა მცდელობა, დაემყარებინათ კონტროლი ქალაქზე. საქმეს ვერც ბრძოლაში დამატებითი რუსული ჯარების ჩაბმამ უშველა. საუბარია სადესანტო ნაწილ ძ-ზე. პუტინის ბრძანებით. ის ბახმუტის, ავდეევკის და მარინკისაკენ გადაისროლეს. მიუხედავად ამისა, ბახმუტში წინსვლა რუსეთმა ვერ შეძლო.

– უკრაინელები ბახმუტის დატოვებას არ აპირებენ. საეჭვოა, რომ თუნდაც ამა წლის ივნისამდე ქალაქის აღება მოვახერხოთ, – აღიარებს ბანდიტური ორგანიზაცია „ვაგნერის“ შეფი პრიგოჟინი.

ოდიოზური რუსი პროპაგანდისტი სოლოვიოვი, მიმოიხილავს რა ბახმუტში შექმნილ მდგომარეობას, აცხადებს, რომ ქალაქში ნამდვილი ჯოჯოხეთია; რუსი ჯარისკაცები შენობას-შენობაზე იკავებენ, უკრაინელები კი ამ შენობებს რუსი ჯარისკაცებიანად აფეთქებენ.

ამრიგად, უკრაინელებმა ბახმუტი შეინარჩუნეს, თუმცა ქალაქი მთლიანად დაინგრა. მსგავსი ვითარებაა მარინკასა და ავდეევკაში. რუსების მცდელობები, რომ ალყაში მოექციათ ხსენებული დასახლებული პუნქტები, ჩაიშალა. მეტიც, უკრაინელთა ელვისებური კონტრშეტევის შედეგად მარინკაში რიგი პოზიციების დაბრუნება მოხერხდა. პარალელურად უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები დროებით ოკუპირებულ დონეცკზე, გორლოვკასა და სხვა ქალაქებზე. მტრის რიგებში უდიდესი დანაკარგებია.

დონბასისაგან განსხვავებთ, უკრაინის სამხრეთში რუსები თავდაცვაზე არიან გადასულნი. ისინი როგორც ზაპოროჟიეს, ისე ხერსონის ოლქის ოკუპირებულ ნაწილში სანგრებს სთხრიან. რუსებს აშფოთებთ მოახლოებული უკრაინული კონტრშეტევა და გარკვეულწილად მართლებიც არიან.

რაც უფრო უკან რჩება ზამთარი, მით უფრო იძაბება მდგომარეობა რეგიონში. მელიტიპოლში (ზაპოროჟიეს ოლქი) სულ უფრო ხშირად გაისმის აფეთქებების ხმა. ნადგურდებიან რუსული ყაზარმები, ბაზები და ადგილობრივი კოლაბორაციონისტები.

პუტინმა ე.წ. ტერორისტების ადგილზე დახვრეტის ბრძანება გასცა. ამან საქმეს არ უშველა. პირიქით, აფეთქებათა გეოგრაფია გაიზარდა. რუსული ბაზები ფეთქდებიან როგორც ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქებში, აგრეთვე ყირიმშიც, კერძოდ, სიმფეროპოლში, ჯანკოიში, ფეოდოსიასა და თვით სევასტოპოლშიც კი.

– საფრთხე უკრაინელი ბანდიტებისაგან იზრდება! ჩვენც იძულებულნი ვართ, დავიწყოთ არა მხოლოდ სანგრების გათხრა, არამედ სიმაგრეების აგება, – აცხადებს ყირიმის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაური აქსიონოვი.

ოდიოზურმა რუსმა პროპაგანდისტმა მარგარიტა სიმონიანმა განაცხადა, რომ დადგა უკრაინის ამპუტაციის დრო.

– უკრაინელებს რუსეთის ტერიტორიაზე შემოსვლა უნდა აეკრძალოთ! პარალელურად ასაკრძალია უკრაინული წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და საერთოდ უკრაინული ენა! – თქვა სიმონიანმა.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 3.636, არტილერია – 2.727, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – 282, თვითმფრინავები – 307, ვერტმფრენები – 292, უპილოტო საფრენი აპარატები – 2.298, ფრთოსანი რაკეტები – 911, ავტომობილები და ავტოცისტერნები – 5.599. განადგურებულია – 177.680 ოკუპანტი.

ბაზარი

● მშმაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

შედეგები

8 აპრილი
ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიერლიგა

მანჩესტერი-ევერტონი	2:0
ასტონ ვილა-ნოტინგემი	2:0
ბრენტფორდი-ნიუკასლი	1:2
ვულვზი-ჩელსი	1:0
ლესტერი-ბორნმუთი	0:1
ტოტენჰემი-ბრაიტონი	2:1
ფულემი-ვესტ ჰემი	0:1
საუთჰემპტონი-სიტი	1:4

სატუნირო ცხრილი:

1.არსენალი	29	23	3	3	70-27	72
2.სიტი	29	21	4	4	75-27	67
3.ნიუკასლი	29	15	11	3	48-21	56
4.მანჩესტერი	29	17	5	7	44-37	56
5.ტოტენჰემი	30	16	5	9	55-42	53
6.ასტონ ვილა	30	14	5	11	41-40	47
7.ბრაიტონი	28	13	7	8	52-36	46
8.ლივერპული	28	12	7	9	48-33	43
9.ბრენტფორდი	30	10	13	7	47-40	43
10.ფულემი	29	11	6	12	39-40	39
11.ჩელსი	30	10	9	11	29-31	39
12.ვულვზი	30	8	7	15	24-42	31
13.ვესტ ჰემი	29	8	6	15	27-39	30
14.კრ.პალასი	29	7	9	13	24-39	30
15.ბორნმუთი	30	8	6	16	28-57	30
16.ლიდსი	29	7	8	14	38-49	29
17.ევერტონი	30	6	9	15	23-43	27
18.ნოტინგემი	30	6	9	15	24-54	27
19.ლესტერი	30	7	4	19	40-52	25
20.საუთჰემპტონი	30	6	5	19	24-51	23

გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-კიოლნი	1:3
ლევერკუზენი-აინტრახტი	3:1
დორტმუნდი-უნიონი	2:1
მაინცი-ვერდერი	2:2
ფრაიბურგი-ბაიერნი	0:1
ჰერტა-ლაიფციგი	0:1

სატუნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	27	17	7	3	77-29	58
2.დორტმუნდი	27	18	2	7	59-36	56
3.უნიონი	27	15	6	6	42-30	51
4.ლაიფციგი	27	14	6	7	50-33	48
5.ფრაიბურგი	27	13	8	6	39-36	47
6.ლევერკუზენი	27	13	4	10	51-41	43
7.აინტრახტი	27	11	8	8	48-40	41
8.მაინცი	27	11	8	8	45-38	41
9.ვოლფსბურგი	26	10	9	7	46-34	39
10.გლადბახი	26	8	8	10	40-44	32
11.ვერდერი	27	9	5	13	42-52	32
12.კიოლნი	27	7	10	10	36-45	31
13.აუგსბურგი	27	8	5	14	35-50	29
14.ბოხუმი	26	8	2	16	28-57	26
15.ჰოფენჰაიმი	26	7	4	15	35-46	25
16.ჰერტა	27	5	7	15	31-50	22
17.შალკე	26	4	9	13	21-48	21
18.შტუტგარტი	26	4	8	14	29-45	20

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-კაიზერი	1:0
ჰამბურგი-ჰანოვერი	6:1
ნიურნბერგი-კარლსრუე	1:1
ჰაიდენჰაიმი-ზ.პაული	0:1

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

ოსასუნა-ელჩე	2:1
ესპანიოლი-ბილბაო	1:2
სოსიედადი-ხეტაფე	2:0
რეალი-ვილიარეალი	2:3

სატუნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	27	23	2	2	53-9	71
2.რეალი	28	18	5	5	59-24	59
3.ატლეტიკო	27	16	6	5	43-19	54
4.სოსიედადი	28	15	6	7	37-26	51
5.ვილიარეალი	28	14	5	9	37-26	47
6.ბეტისი	27	13	6	8	34-27	45
7.ბილბაო	28	11	7	10	38-29	40
8.ოსასუნა	28	10	8	10	24-28	38
9.რაიო	27	9	10	8	32-31	37
10.სელტა	28	9	9	10	36-39	36
11.ხირონა	27	9	7	11	42-42	34
12.მალიორკა	27	9	6	12	22-27	33
13.სევილია	28	8	8	12	33-44	32
14.ხეტაფე	28	7	9	12	27-36	30
15.კადისი	27	6	10	11	21-40	28
16.ვალიადოლიდი	27	8	4	15	20-44	28
17.ალმერია	27	7	6	14	32-47	27
18.ვალენსია	27	7	6	14	29-32	27
19.ესპანიოლი	28	6	9	13	34-46	27
20.ელჩე	28	2	7	19	20-57	13

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

სარაგოსა-გრანადა	1:0
იბიცა-ხიხონი	1:3
რასინგი-ალბასეტე	4:1

იტალია. სერია ა

უდინეზე-მონცა	2:2
ფიორენტინა-სპეცია	1:1
ატალანტა-ბოლონია	0:2
სამდორია-კრემონეზე	2:3

კრემონეზეს მეორე გოლი ლუკა ლოჩოშვილმა გაიტანა

ვერონა-სასუოლო	2:1
ტორინო-რომა	0:1
ლაციო-იუვენტუსი	2:1

სატუნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	29	24	2	3	66-21	74
2.ლაციო	29	17	7	5	46-20	58
3.რომა	29	16	5	8	39-26	53
4.მილანი	29	15	7	7	48-36	52
5.ინტერი	29	16	3	10	48-33	51
6.ატალანტა	29	14	6	9	47-34	48
7.იუვენტუსი	29	18	5	6	47-24	44
8.ბოლონია	29	12	7	10	38-36	43
9.ფიორენტინა	29	11	8	10	34-32	41
10.უდინეზე	29	9	12	8	39-36	39
11.ტორინო	29	10	8	11	30-35	38
12.სასუოლო	29	10	7	12	37-43	37
13.მონცა	29	9	8	12	34-41	35
14.ემპოლი	29	7	11	11	25-36	32
15.სალერნიტანა	29	6	11	12	33-49	29
16.ლეჩე	29	6	9	14	25-35	27
17.სპეცია	29	5	11	13	25-45	26
18.ვერონა	29	5	7	17	24-43	22
19.კრემონეზე	29	2	10	17	26-54	16
20.სამპდორია	29	3	6	20	18-50	15

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

საფრანგეთი. ლიგა 1

ანჟე-ლილი	1:0
ნიცა-პსჟ	0:2

სატუნირო ცხრილი:

1.პსჟ	30	22	3	5	70-29	69
2.ლანსი	30	18	9	3	50-22	63
3.მარსელი	29	18	6	5	54-29	60
4.მონაკო	29	17	6	6	61-40	57
5.ლილი	30	15	7	8	54-38	52
6.რენი	29	15	5	9	47-30	50
7.რეიმსი	29	11	13	5	39-28	46
8.ნიცა	30	11	12	7	38-28	45
9.ლიონი	29	12	8	9	44-32	44
10.ლორიანი	29	12	8	9	42-40	44
11.მონპელიე	29	11	4	14	45-48	37
12.კლერმონი	29	10	7	12	29-41	37
13.ტულუზა	29	10	5	14	44-51	35
14.ნანტი	29	6	12	11	30-40	30
15.ბრესტი	29	6	9	14	33-47	27
16.სტრასბური	30	5	11	14	38-52	26
17.ოსერი	29	6	8	15	24-51	26
18.ტრუა	29	4	9	16	38-62	21
19.აიაჩო	29	6	3	20	21-52	21
20.ანჟე	30	3	5	22	23-64	14

საფრანგეთი. ლიგა 2

ბორდო-ბასტია	2:0
ამიენი-ნიმი	1:0
ლე ავრი-გენგამი	0:0
დიჟონი-როდეზი	1:0
კევიი-კაენი	2:1
ლავალი-გრენობლი	0:1
ნიორი-სოშო	0:3
პო-მეცი	1:1
პარიზი-სტ.ეტიენი	2:4

პორტუგალია. ჰიმეიჩა ლიგა

არაუჯა-მარიტიმუ	1:0
ფერეირა-ფამილიკაუ	1:3
პორტიმონენშე-რიუ ავე	2:2
ბრაგა-ეშტორილი	4:1

ნიდერლანდები. ერედივიზიონი

ვიტესი-იგლზი	2:0
ალკმაარი-სპარტა	0:1
პსვ-ექსელსიორი	4:0
ჰერენვენი-ვოლენდამი	2:1

ბელგია. ა დივიზიონი

ლეუვენი-მეხელენი	4:1
კორტრაიკი-ეუპენი	0:0
შარლერუა-ვარეგემი	3:2
გენტი-სენ ჟილუა	1:1

თურქეთი. სუპერლიგა

ანკარაგიუჯიუ-ისთანბული	3:2
ქაშიმფაშა-ტრაბზონი	2:0

სპორტი

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლუშტენაუ-ალტახი	1:0
რიდი-ჰარტბერგი	1:3

შოტლანდია. ჰემპიერლიგა

სელტიკი-რეინჯერსი	3:2
აბერდინი-კილმანროკი	2:0
მოზერველი-ლივინგსტონი	3:0
სტ.ჯონსონი-როსი	0:2
ჰარტსი-სტ.მირენი	0:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ატრომიტოსი-იანინა	1:1
ოფი-ლამია	4:1
ასტერასი-ლევადიაკოსი	0:1
პანეთოლიკოსი-იონიკოსი	0:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ციურიხი-ბაზელი	1:1
სიონი-სერვეტი	2:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბრნო-ჰრადეც კრალოვე	1:2
ლიბერეცი-ზლინი	2:1
სლოვაკეკო-ბანიკი	0:1
პლზენი-ოაბლონეცი	3:2

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პლოცკი-ზაგლებიე	2:0
ვიძევი-სტალი	0:2
პოგონი-კრაკოვია	3:2
ლეხი-ვარტა	2:0

უკრაინა. ჰემპიერლიგა

დინამო-მინაი	2:0
კრივბასი-ზორია	1:0
შახტარი-მეტალისტი	1:0
რუხი-ვერესი	0:0

შვედეთი. ალსვენსკა

ბრომაპოიკარნა-მალმიო	1:2
დეგერფორსი-ჰალმშტადი	3:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ფლეი ოფის ყველა მონაწილე ცნობილია

თსუ-ჩუსთავი 115:95
(21:34; 39:22; 26:26; 29:13)

სუპერლიგის რეგულარულ ჩემპიონატში ბოლო მატჩი გამართეს რუსთავისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდებმა. სატურნირო თვალსაზრისით, მათ თამაშს მნიშვნელობა არ ჰქონდა – ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში რუსთაველები რეგულარულს მე-2 ადგილზე ასრულებდნენ, უნივერსიტეტელები – მეოთხეზე. სწორედ ამიტომ, ორივე მათგანმა გუნდის ლიდერები დაასვენა: რუსთაველებმა განაცხადში არ შეიყვანეს ლეგიონერები – ტრეი კროფტი და ეივერი დიგსი, ხოლო თსუ-მ გიორგი ციცაძე და მიხეილ ბერიშვილი დაასვენა.

თსუ-ს 11 აპრილს საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალი ელის, სადაც სუპერლიგის ლიდერ ოლიმპს ხვდება და მოთამაშე-ქომაგიანად, უნივერსიტეტელები ამ დაპირისპირებისთვის ემზადებიან. ნამატჩევს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ლექსო ლაფანაშვილმა აღნიშნა, ახლა მისი გუნდის ორიენტირი თასის ნახევარფინალია და ლიდერებს სუპერლიგის უმოტივაციო მატჩში დასვენების საშუალება მისცა.

რაც შეეხება მატჩს, გამარჯვება თსუ-ს დარჩა. ახალგაზრდებმა კარგად ითამაშეს, რომლებმაც ბოლომდე იბრძოლეს და გუნდის ამერიკელ ლიდერ ჯიმონ ჰენსონს დიდად დაეხმარნენ. თსუ თავიდან 16 ქულას აგებდა, მაგრამ მატჩში, რომელშიც შედეგს მნიშვნელობა არა აქვს, ყველაფერია მოსალოდნელი. თსუ-მ ჩამორჩენა 5 წუთში გაათანაბრა, დაწინაურდა, ხოლო მეორე ნახევარში სულაც 21 ქულით გალიდერდა.

საერთოდ, დაცვა ორივე მხარეს მორყეული იყო. გუნდები უკანმოუხედავად უტევდნენ და ვისაც უკეთესი შემსრულებელი აღმოაჩნდა, გამარჯვებაც მას დარჩა. თსუ-ში საუკეთესო კორი ბოუენი იყო – 28 ქულა, 9 მოხსნა; ჯიმონ ჰენსონმა 19 ქულა მოაგროვა; რუსთაველთაგან შთამბეჭდავი სტატისტიკა ჰქონდა აკაკი დვალიშვილს, რომელმაც 32 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა.

ვეჰა-ტიტები 106:102
(25:28; 26:35; 22:31; 33:28)

სუპერლიგის მიმდინარე სეზონი ვერამ დაასრულა, ხოლო ტიტებს მნიშვნელოვანი მატჩი დარჩა. მატჩს ერთგვარი სევდიანი ელფერი გასდევდა: ვერა, რომელმაც რეგულარული ბოლო ადგილზე დაასრულა, სუპერლიგას ემშვიდობება, ხოლო ტიტებს, რომელმაც ცხრილში ბოლოსწინა, მე-10 ადგილი დაიკავა, დებულების თანახმად, უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად საკვალიფიკაციო რაუნდში მოუწევს ბრძოლა. მისი მეტოქე რამდენიმე დღეში გაირკვევა და ა ლიგის ფინალში დამარცხებული გუნდი – გორის ივერიონი ან ტყიბულის ორბი იქნება. ტიტები სწორედ საკვალიფიკაციო სერიის მატჩებით დაასრულებს სეზონს, რომელიც 3 მატჩამდე გაგრძელდება.

რაც შეეხება მატჩს, არც ვერასთვის და არც ტიტებისთვის მისი შედეგი არაფერს ცვლიდა და, შესაბამისად, ლაღი თამაში გაჩაღდა. გუნდები დაცვაში ძალისხმევით თავს არ იკლავდნენ და ორივე გუნდის წევრები შეტევაზე იყვნენ ორიენტირებულნი. შესაბამისად, ამ მატჩში დამყარდა სამქულიანების რეკორდი. ორივე გუნდმა ჯამში 39 სამიანი ჩააგდო, რაც მიმდინარე სეზონთან ერთად ბოლო წლების რეკორდია. ამასთან, ტიტებმა ამ მატჩში ჩაგდებული 20 სამქულიანით მიმდინარე სეზონის საკუთარი რეკორდი გაიმეორა. სამქულიანების ინდივიდუალური რეკორდი გაიმეორა ვერელმა კაიდენ რაისმა, რომელმაც 9 შორი სროლა ჩააგდო და მიმდინარე სეზონში მარგვეთელი რონი როზიეს შედეგი გაიმეორა.

შეხვედრა ტიტების გამარჯვებით – 122:106 დასრულდა. ამ მატჩში მთავარი მწვრთნელის რანგში დებიუტი ჰქონდა რიჩარდ მათიაშვილს, რომელიც ტიტებში ბესო ლეჟავას ასისტენტია და მისი დისკვალიფიკაციის გამო გუნდს ვერასთან მატჩში გაუძღვა.

გამარჯვებულთაგან 24-24 ქულით სანდრო სანაძე და ბრაიან დოუსონი გამოირჩნენ. საუკეთესო შედეგი კი კენდრიკ ტომპსონმა დააფიქსირა, რომელმაც 18 ქულა, 15 პასი და 10 მოხსნა მოაგროვა. ვერაში დარჩენილმა ერთადერთმა ლეგიონერმა კაიდენ რაისმა ჯამში 37 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა.

ოლიმპი-კაკტუსი 78:76
(25:19; 18:22; 17:17; 18:18)

ოლიმპისა და კაკტუსის მატჩით დასრულდა 2022-23 წლების სუპერლიგის სეზონის რეგულარული ჩემპიონატი და ცხრილმა საბოლოო სახე მიიღო. ცხრილის ფორმირებაში აღნიშნული შეხვედრის შედეგს ერთადერთი მნიშვნელობა ჰქონდა: კაკტუსს რომ მოეგო, დელტა იკავებდა მე-6 ადგილს, ხოლო ბათუმი – მეშვიდეს. კაკტუსის წაგების შემთხვევაში კი პირიქით: ბათუმელები გადიოდნენ მეექვსეზე, ხოლო დელტა – მეშვიდეზე. ასეც მოხდა.

საბოლოოდ კაკტუსმა დაძაბულ ბრძოლაში – 76:78 წააგო და სამმა გუნდმა – კაკტუსმა, ბათუმმა და დელტამ თანაბარი ქულები დააგროვა. ამ გუნდების ურთიერთშეხვედრებში კაკტუსი იყო საუკეთესო, რომელსაც ცხრილში მე-5 ადგილი ერგო, მეექვსეზე ბათუმი გავიდა, ხოლო მეშვიდეზე – დელტა.

შედეგად, ფლეი ოფში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ოლიმპი-მარგვეთი; თსუ-კაკტუსი; რუსთავი-დელტა; კავკასია-ბათუმი.

რეგულარული ჩემპიონატის მთავარი მოულოდნელობა სუპერლიგის მოქმედი ჩემპიონის – ქუთაისის პლეი ოფს მიღმა დარჩენაა. იმერულმა კლუბმა 8 მატჩი მოიგო, 12-ში დამარცხდა და ანალოგიური შედეგის მქონე მარგვეთს ურთიერთშეხვედრებში მქონე ბურთების უარყოფითი შეფარდების გამო ჩამორჩა.

პლეი ოფის ყველა ეტაპზე – მეოთხედფინალში, ნახევარფინალსა და ფინალში სერიები 3 მოგებამდე იქნება. მხოლოდ მე-3 ადგილის მფლობელი გამოვლინდება ერთი მატჩის შედეგად და მასში ნახევარფინალურ სერიაში დამარცხებული გუნდები შეხვდებიან.

პლეი ოფი საღამოს დღესასწაულების შემდეგ, დაახლოებით 2 კვირაში დაიწყება, მანამდე კი 11-12 აპრილს თასის გათამაშების ოთხთა ფინალი ჩატარდება, რომელშიც ოლიმპი, თსუ, დელტა და ბათუმი არიან გასულები.

საბოლოო ცხრილი:

1.ოლიმპი	20	16	4	1740-1641	36
2.რუსთავი	20	14	6	1799-1624	34
3.კავკასია	20	13	7	1651-1634	33
4.თსუ	20	12	8	1760-1659	32
5.კაკტუსი	20	10	10	1532-1587	30
6.ბათუმი	20	10	10	1693-1661	30
7.დელტა	20	10	10	1675-1607	30
8.მარგვეთი	20	8	12	1596-1651	28
9.ქუთაისი	20	8	12	1654-1727	28
10.ტიტები	20	7	13	1740-1755	27
11.ვერა	20	2	18	1603-1897	22

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ბითაძის ორმაგი დუბლი

გოგა ბითაძემ ორლანდო მეჯიქში პირველად ითამაშა სასტარტო ხუთეულში და ორმაგი დუბლი მიითვალა. რეგულარული სეზონის დასრულებამდე 2 მატჩით ადრე, ქართველ ცენტრს მეტი შანსი მისცეს და ბითაძემაც საკუთარი სიტყვა თქვა.

მატჩი ნიუ იორკში ჩატარდა და მასპინძელი ბრუკლინის გამარჯვებით – 101:84 დასრულდა. ბითაძემ მოედანზე 25:23 წუთი გაატარა და ორლანდოელთაგან საუკეთესო შედეგი დააფიქსირა – 12 ქულა, 15 მოხსნა, თითო ჩაჭრა, პასი და დაფარება მიითვალა.

ქართველმა ცენტრმა 6-დან 5 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა. ორლანდოში 14 ქულითა და 9 მოხსნით კოულ ენტონიც გამოირჩა, ბითაძის მსგავსად 12 ქულა მოაგროვა ფრანც ვაგნერმა.

გოგამ მოხსნებში კარიერის პირადი რეკორდი გაიმეორა, რომელიც მიმდინარე სეზონში, ინდიანაში თამაშისას, დეტროიტის წინააღმდეგ მოაგროვა.

სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩის შემდეგ გოგას ჟურნალისტების კითხვებზე პასუხების გაცემა მოუწია.

გოგა ბითაძე:

– ორლანდოში თბილად მიმიღეს, მხოლოდ კალათბურთელებზე არ ვსაუბრობ – ორგანიზაციის ყოველმა წევრმა ახალ გუნდში ინტეგრაცია გამიადვილა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შუა სეზონში რთულია ამის გაკეთება, როცა არ იცი, რა გელის ახალ გუნდში. ყველამ ხელი შემიწყო, რომ მალე გავშინაურებულიყავი გუნდში.

თავს კარგად ვგრძნობ, ვცდილობ, ვაჩვენო ისეთი თამაში, რომ ყველამ დაინახოს, ბოლომდე ვიხარჯები. 100%-ს ვდებ მატჩში, ვიბრძვი ფარისთვის, ვცდილობ, სწორი გადაწყვეტილებები მივიღო მოედანზე, კარგი „სქრინები“ დავაყენო გუნდელებისთვის. ხალხი ამას ხედავს, პატივისცემასაც ვიმსახურებ და ფაქტია, სათამაშო დროც მომემატა. მადლობა მწვრთნელს, რომ მენდობა. უბრალოდ, ჩემს საქმეს ვაკეთებ.

ვფიქრობ, ახალი სეზონისთვის კიდევ შემიძლია მოვუმატო – უფრო ფეთქებადი თამაში მჭირდება. იქამდე მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ვითამაშო, ეს ჩემი ქვეყნისთვის პირველი მუნდიალია. ასე რომ, ძალიან დატვირთული ზაფხული მელის. ახალი სეზონისთვის სულ სხვა განწყობით დავბრუნდები, შევეცდები, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი ვაჩვენო. გუნდის ხელმძღვანელობასაც იგივე სურს, ჩვენ ერთმანეთს ვეთანხმებით.

ორლანდომ ახალგაზრდებით საუკეთესო მეორე ნახევარი ითამაშა. ვნახოთ, რა იქნება მომავალ სეზონში, მოლოდინი ამაღელვებელია. რაც აქ ვთამაშობ, გუნდმა ბევრი დაძაბული მატჩი გამართა. არადა, ბიჭები ჯერ 24-25 წლის არიან. ექსპერტები ასეთ თამაშს ნამდვილად არ ელოდნენ.

34 მოგებითა და 47 წაგებით ორლანდო აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-13 ადგილზეა. რეგულარული ჩემპიონატისა და მთლიანად მიმდინარე სეზონის ბოლო შეხვედრას ორლანდო მაიამიში, ჰითთან გამართავს.

სანდრო მამუკელაშვილის სან ანტონიო სპურსმა, ნბა-ს მიმდინარე სეზონში ბოლოსწინა მატჩი გამართა. ტეხასელებმა ქალაქ ოსტინში მინესოტას უმასპინძლეს და 131:151 დამარცხდნენ.

სტუმრებს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდათ, რადგან ფლეი ოფში გასვლის შანსი ჰქონდათ, მაგრამ სხვა მატჩის შედეგზეც იყვნენ დამოკიდებულნი. მინესოტელებმა საბოლოო კი იმარჯვეს, თუმცა ფლეი ოფში გასასვლელად ბრძოლის გაგრძელება ჯერ ფლეი ინში მოუწევთ.

სანდრომ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 26 წუთში 16 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მამუკელაშვილმა 9-დან 5 ორქულიანი და 4-დან 2 სამიანი ჩააგდო.

სპურსს რეგულარული ეტაპის ბოლო მატჩი დალასთან ექნება.

შავი ლომი სამხრეთ ამერიკაში არ დააფასეს

შავმა ლომმა სამხრეთამერიკული ტურნეს პირველ მატჩში სუპერ ლიგის ლიდერს, არგენტინულ დოგოს 11 ლელო გაუტანა და დიდი სხვაობით, 75:19 დაამარცხა.

ეს არ იყო ის თამაში, რისი მოლოდინიც გვქონდა. მეტოქემ გადახალისებული შემადგენლობა დაგვიყენა, რომელმაც სტუმრებს ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მატჩის ბედი, ფაქტობრივად, საწყის წუთებშივე გადაწყდა.

შავი ლომი მოედანზე მოტივირებული გავიდა, თავიდანვე დაეუფლა უპირატესობას და მეტოქე პრაქტიკულად ყველა კომპონენტში დაჯაბნა. ქართველი მორაგბეები იოლად ჭრიდნენ ხაზს, ქმნიდნენ უპირატესობას და მერე სათანადოდ იყენებდნენ.

დებიუტში ლუკა მატკავამ დერეფნის შემდეგ გაჭრა ხაზი, კარგად მიყვა მიხეილ გაჩეჩილაძე, ლელოდან 10 მეტრში მბოჭავი ხელით ჩამოიშორა და ოვალი ძელებსშუა დაამიწა; 5 წუთში გაჩეჩილაძემ რაქიდან შეუტია, მბოჭავი ერთი-ერთზე დაჯაბნა და დუბლი გაიფორმა; მე-10 წუთზე დერეფნიდან აგორებულ მოლს თენგიზ ზამთარაძე მოწყდა და ლელო მოკლე ფრთაზე გაიტანა; 4 წუთში ბურთი სწრაფად გავიდა ხაზზე, ოთარ ლაშხმა მცველს კარის წინ ერთი-ერთზე აჯობა და მორიგი ლელო; მერე დოგოსის შერკინებაში მოვიპოვეთ ბურთი, თენგიზ პერანიძემ ყველას შემოურბინა და სტუმართა მეხუთე ლელო გაიტანა; მიხეილ ბაბუნაშვილმა რაქიდან ძალისმიერი ლელო შეიტანა; ტაიმის ბოლოს მირიან მოდებაძე აფეთქდა, ხუთ მბოჭავს გასცდა და ინდივიდუალური ლელო მიითვალა; მერე თავი თორნიკე აქუბარდიამ გამოიჩინა; ლუკა მატკავამ გარდასახვები ყველა პოზიციიდან უნაკლოდ შეასრულა – 56:0 პირველი ტაიმის შემდეგ.

მეორე ტაიმში თამაშის მუხტი დაიკარგა და არგენტინელებმა 40 წუთში 3 ლელო გაიტანეს, რაზეც შავმა ლომმა ოთხით უპასუხა: მატკავამ შებრუნებული პასის შემდეგ ხაზი გაჭრა, ლაშა ხმალაძე მიყვა და ცრუმოძრაობების შემდეგ ლელოში შევიდა; ტაიმის შუაში მოდებაძემ კონტრშეტევა ჩვენი ნახევრიდან წამოიწყო, ბურთი საპირისპირო ფრთაზე ჩათამაშდა და გუნდში ტრავმის შემდეგ დაბრუნებულმა სოსო მათიაშვილმა ლელო გაიტანა; მატჩის მიწურულს 5 ქულა შეცვლაზე შესულმა დემე თაფლაძემ მიითვალა – 75:19.

შავი ლომი მომდევნო მატჩს ჩილეს სელკნემის წინააღმდეგ მონტევიდეოში გამართავს.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. შვეიცარიელი საზოგადო მოღვაწე, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი; 2. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 3. მსხვილი სააქციონერო, ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 4. მდინარე პრაღაში; 5. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 8. ქართველი კომპოზიტორი; 9. ფრინველის საჭერი მახე; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 13. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 16. სომალის დედაქალაქი; 17. რბილი, ფერადი ფანქრები ხატვისთვის; 19. მდინარე კიევში; 20. ესპანური ღვინო.

თარაზულად: 6. იტალიელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. ამა თუ იმ ადგილის ჰავა, ამინდის რეჟიმი; 8. სასამართლოს მიერ კერძო პირის ან ორგანიზაციის ქონების, ან ფულადი სახსრების გამოყენების აკრძალვა; 10. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნული გმირი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. მარცვლეულის შესანახი ძველებური ხის ნაგებობა; 14. სავაჭრო სახლი, სასტუმრო ძველად; 15. მსხვილი საკარმიდამო მამული ლათინურ ამერიკაში; 18. სადაზღვევო მოწმობა; 21. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 22. ხურდა ფული აშშ-ში; 23. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 24. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ვეძისი; 2. კამიუ; 3. სტიაუა; 4. მეტეხი; 6. მატიანე; 9. წუნდა; 11. ბენიასა; 15. რესკრიპტი; 16. ჟიგოლო; 17. ნატამალი; 19. არაქისი; 21. რეგენტი; 22. ჩაჟაში.

თარაზულად: 5. სერენადა; 7. აპლომბი; 8. ატლასი; 10. სულგუნი; 12. ხიხვი; 13. უნერა; 14. ანდერსენი; 18. არიბა; 20. დინარი; 23. ყაურმა; 24. გემა; 25. მალამო; 26. შატო; 27. სტატუსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაგრატი; 2. მენჩიკი; 3. პირსინგი; 4. ტუნისი; 5. ფერხული; 8. ბიბლისი; 9. მოწამეთა; 12. ბერნარდი; 13. ჭიშკარი; 16. გაგრიფში; 17. ძილქუში; 19. აღლუმი; 20. მექისე.

თარაზულად: 6. ჯარაექიმი; 7. კუბდარი; 8. ბესონი; 10. კაოლინი; 11. მუდო; 14. კვიპროსი; 15. ქრისტინე; 18. ხაიამი; 21. ღერღილი; 22. სელბი; 23. იანუსი; 24. ტიტესტერი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

10 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5330

ევრო — 2.7655

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1513

100 რუსული რუბლი — 3.0692

ამინდის პროგნოზი 10 აპრილისათვის



ეროვნული ბიბლიოთეკა

ანჩელოტი: „ვილიარეალთან მარცხი არ დაგვიმსახურებია“

მადრიდის რეალი საკუთარ მოედანზე ვილიარეალთან დამარცხდა 2:3 და სამეფო გუნდმა თითქმის ბოლომდე დაკარგა ჩემპიონობის შანსი. მატჩის შემდეგ ანჩელოტიმ თქვა, რომ რეალი მარცხს არ იმსახურებდა: „მეტოქეს კართან ბევრი მომენტი შევქმენით, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გამოყენება ვერ შევძელით, თუმცა ვფიქრობ, რომ მარცხი არ დაგვიმსახურებია. მეტოქემ თავისი შანსები გამოიყენა და მათ ამ წარმატებას ვულოცავ. ჩვენ აქცენტი ჩემპიონთა ლიგაზე უნდა გავაკეთოთ“.

მესიმ პსჟ-ში ისევ გაიტანა

ლიონელ მესიმ პსჟ-ს რიგებში ისევ გაიტანა და თავის გუნდს გამარჯვებაში დაეხმარა. პსჟ-მ სტუმრად ნიცა დაამარცხა 2:0. მესიმ საგოლე პასიც გააკეთა და მისი გადაცემის შემდეგ თავი სერხიო რამოსმა გამოიჩინა. პსჟ მეორე ადგილზე მყოფ ლანსს 6 ქულით უსწრებს, თუმცა ბოლო შეხვედრებში პარიზელები ცუდად გამოიყურებოდნენ და მათ ზედიზედ ორი მატჩი წააგეს საკუთარ მოედანზე.

მარკუს რეშფორდმა ტრავმა მიიღო

მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა ევერტონთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენს ხანს იუქმებს მანჩესტერის ერთ-ერთი ლიდერი და მთავარი ბომბარდირი. რეშფორდმა მატჩის შემდეგ თქვა, რომ ის შეეცდება, მაქსიმალურად სწრაფად დაბრუნდეს მინდორზე, ხოლო ტენ ჰაგმა კი რეშფორდის ტრავმა დატვირთულ გრაფიკს დააბრალა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

სახლში გვიან დაბრუნებული შვილი მშობელს ეუბნება:

– მამა, რადგან დაბადების დღეზე ვიყავი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთვრალი ვარ.

– მამა კი არა, დედა ვარ!

•••

მეგობრები საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, გუშინ დღესასწაულზე ლამარამ რით დამასაჩუქრა?

– რით?

– სექსით.

– როგორი არაორიგინალურია, ყველას ერთი და იმავეთი ასაჩუქრებს.

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ამბობენ, რომ გამხდრები ბოროტები არიან, ხოლო მსუქნები კეთილები, და მე როგორი ვარ?

– მავნე!

•••

კაცმა თავისი ცოლის საყვარელი დაიჭირა და სცემს. ატყდა ალიაქოთი, მოცვივდნენ მეზობლები. ერთ-ერთი მეზობელი მის დაწყნარებას ცდილობს და ეუბნება:

– რას შვრები, ეგ ხომ შენი შვილების მამაა...

•••

საოცრებაა პირდაპირ: თანამედროვე ქალები ატარებენ პარიკს, იღებავენ თმებს, იკეთებენ ხელოვნურ წამწამებსა და ფრჩხილებს, მკერდს სილიკონით იდიდებენ და მერე წუწუნებენ, რომ ნამდვილი მამაკაცის პოვნა ძნელია!

•••

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

– რატომ არ აიყვანეთ დამცველი?

– ყველა ადვოკატი უარს აცხადებს ჩემ დაცვაზე, როგორც კი იგებენ, რომ ის ხუთი მილიონი მართლა არ მომიპარავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლანა ღოღობერიძემ დედას ფილმი მიუძღვნა

კინორეჟისორმა ლანა ღოღობერიძემ დედას – პირველ ქალ რეჟისორს საქართველოში ნუცა ღოღობერიძეს ფილმი მიუძღვნა.

„დედა-შვილი ან ღამე არ არის არასოდეს ბოლომდე ბნელი“ – ასე ჰქვია მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მაყურებელმა კინოთეატრ „ამირანში“ უკვე იხილა.

მაყურებელთა შორის იყო მუსიკოსი ნინო ჟვანიაც, რომელმაც ფილმს საოცარი უწოდა:

– „ამირანში“ ვნახე ლანა ღოღობერიძის საოცარი ფილმი „დედა-შვილი ან ღამე არ არის არასოდეს ბოლომდე ბნელი“. ფილმი რეჟისორის დედას ეძღვნება, პირველ ქართველ ქალ-რეჟისორს, ნუცა ღოღობერიძეს.

იმდენი შთაბეჭდილება დამიგროვდა, მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა. ფილმის დასაწყისში საოცარი კადრებია – ბავშვობაში დედასთან გადაღებული ფოტოები, რომლებზეც დედა-შვილი ერთმანეთს ეხუტება. ეს დედა-შვილის „ადრინდელი ერთად ყოფნის“ ბოლო ფოტოები ყოფილა, სულ მალე ნუცა ღოღობერიძე დააპატიმრეს და 10 წლით „გულაგში“ გადაასახლეს. ამ ფოტოების ფონზე ისმის ლანას ხმა: – მე არ ვიცი, აქ ვხვდებით ერთმანეთს, თუ ვშორდებით. ისე, როგორც ამ ცხოვრებაში არ ვიცით, ვხვდებით ერთმანეთს თუ ვშორდებითო.

პირველად გავიაზრე, როგორ ჰგავს ერთმანეთს შეხვედრა და დაშორება. ჰოდა, სულ ამ იდეაზე მეფიქრება. მართლაც არ ვიცი, ამ დედამიწაზე იმისთვის მოვედი, რომ ჩემს საყვარელ სულებს შევხვდე, თუ იმისთვის, რომ დავშორდე. თუმცა, ფილმი სულ სხვა რამეზეა და ის უნდა ნახოთ!

რა საოცარი ქალია. თუ ღმერთმა ინება და 90-ს გადავაბიჯე, ზუსტად ლანა ღოღობერიძესავით მინდა ვიყო: ჩემი საყვარელი საქმის (რომელსაც, ბოლომდე ვერ ვხვდები, ამ ცხოვრებაში მოვლენით შევხვდი, თუ დავშორდი) კეთება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შევძლო. და თან რომ გავაკეთებ, მერე ისიც მოვახერხო, რომ სცენაზე ლანასავით ღირსეულად და მოხდენილად ავიდე და მსმენელს (რომელსაც შევხვდები თუ დავშორდები, მაგასაც ვერ მივხვდები) თავი დავუკრა.

რეზო კიკნაძემ იმუშავა მუსიკაზე. საოცარი ნამუშევარი იყო. რეზოს დამსახურებაცაა, რომ ფილმის მსვლელობისას გაუჩერებლად ვტიროდი. კათარზისი გავიარე.

ირუ ხეჩანოვის სიმღერა ბიბისიმ გააკრიტიკა

„ევროვიზია 2023“-ზე საქართველოს წარმომადგენლის ირუ ხეჩანოვის სიმღერა „ექო“ ბიბისიმ გააკრიტიკა და მისი ტექსტი ხელოვნური ინტელექტის მიერ დაწერილს შეადარა:

– ირუ თავის სიმღერას აღწერს, რომ იგი „სიყვარულისთვის ბრძოლაზეა“, მაგრამ ტექსტი ხელოვნური ინტელექტის ჩატბოტის მიერ დაწერილს ჰგავს. სიმღერა სავსეა სამხედრო დასარტყამი ინსტრუმენტებით და ჯეიმს ბონდისეული სიმებიანი მუსიკით. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სიმღერა კინდერის კვერცხის მსგავსად ცარიელია, – ნათქვამია ტელეკომპანიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

წელს ევროვიზიის სიმღერის კონკურსი 9-13 მაისს ლივერპულში გაიმართება. ირუ ხეჩანოვმა მუსიკალურ ფესტივალზე საქართველოს წარდგენის უფლება საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტ „ვოისში“ გამარჯვებით მოიპოვა. მომღერალი ევროფესტივალის სცენაზე 11 მაისს გამოვა, მე-11 ნომრად იმღერებს და სიმღერას „ექო“ შეასრულებს. სიმღერის ტექსტის ავტორები თავად ირუ ხეჩანოვი და ბენი ქადაგიძე არიან.

გენრი დოლიძე, პოეტი:

– სიმღერა სავსეა სამხედრო დასარტყამი ინსტრუმენტებით და ჯეიმს ბონდისეული სიმებიანი მუსიკით. მიუხედავად ამ ყველაფრისა, სიმღერა კინდერის კვერცხის მსგავსად ცარიელია, – ბიბისი ირუ ხეჩანოვის ევროვიზიის სიმღერაზე.

პირველი არხი – რატომ? კაი, საქართველოში დაჩაგრეთ ნიჭიერი მომღერლები და პროტექციონიზმით გაამარჯვებინეთ ამ გოგოს, მაგრამ ევროვიზიაზე რომ არ ჭრის ქართული მარიფათები? ქვეყნის სახელი და იმიჯი რომ ილახება, ამაზე ვინ აგებს პასუხს?

მსახიობი ალექსი გეწაძე გარდაიცვალა



მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ალექსი გეწაძე გარდაიცვალა. იგი ამ თეატრის წევრი 1980 წლიდან იყო და მის მიერ ათეულობით ნათამაშები როლი ახსოვს მაყურებელს. მსახიობმა იმუშავა ლევან წულაძესთან, გოგი თოდაძესთან, გიზო ჟორდანიასთან, თემურ ჩხეიძესთან, მედეა კუჭუხიძესთან, ალექსანდრე ელოშვილთან, ნუგზარ გაჩავასთან, დავით ანდღულაძესთან...

სამწუხარო ინფორმაცია მარჯანიშვილის თეატრმა გაავრცელა:

– გარდაიცვალა მსახიობი ალექსი გეწაძე. 1980 წლიდან მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, საინტერესო იყო მის მიერ განსახიერებული როლები, რომელსაც განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა იშვიათი ხმის ტემბრი, ნიჭიერი მსახიობი და უღალატო მეგობარი დააკლდა მარჯანიშვილის თეატრს.

მიშა გომიაშვილს მარჯანიშვილის თეატრში გაიხსენებენ



მსახიობ მიშა გომიაშვილს 10 აპრილს მის მშობლიურ მარჯანიშვილის თეატრში გაიხსენებენ.

თეატრის დიდ სცენაზე ჩატარდება მიშა გომიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც მისი მეგობრები, კოლეგები მსახიობის შესახებ ისაუბრებენ.

მიშა გომიაშვილი თავისი თეატრალური თუ კინოროლებით მაყურებელმა გამორჩეულად შეიყვარა. მისი ნამუშევრები არაერთი საერთაშორისო ჯილდოთი და პრემიით აღინიშნა. მსახიობი შარშან 61 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

10 აპრილისათვის

ფერძი – იღბლიანი, მშვიდი და ჰარმონიული დღეა. გელით წინსვლა კარიერაში. ახალი იდეების განხორციელებას ნუ დააყოვნებთ. ** კურო** – მიღწევებიცა და შეცდომებიც დეტალურად გააანალიზეთ. ემოციების გამოვლენას ერიდეთ. **ტყუპები** – სამსახურში თქვენი აქტიურობა ხელმძღვანელობის ყურადღებას მიიქცევს. ფინანსური კეთილდღეობა მხოლოდ შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული. **კირჩხიბი** – ახალი საქმის კეთებას ენერგიულად შეუდექით. შედეგი გაგაოცებთ. **ლომი** – წარმატება გელით სამსახურში. დაკისრებული მოვალეობა კეთილსინდისიერად შეასრულეთ. **ქალწული** – სანამ შემოთავაზებულ წინადადებას დათანხმდებით, დაფიქრდით. ბედი გწყალობთ. **სასწორი** – შემოქმედებით სფეროში გიმარტლებთ. უფროსობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. საკუთარ ინტერესებს ნუ უგულებელყოფთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად. თქვენი აქტიურობა და მიზანდასახულობა დაფასდება. **თხის რქა** – საქმიანი კონტაქტები წარმატებას მოგიტანთ. გაუაზრებელ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **მერწყული** – პასიური დღეა. ვარსკვლავები ახალი საქმის დაწყებისგან თავის შეკავებას გირჩევენ. **თევზები** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის პერიოდი მოახლოვდა. მიზნისკენ სვლაში გარკვეული დაბრკოლებები შეგხვდებათ, რომლებსაც იოლად გადალახავთ.

გისუჩვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ქართული ხალხური ზღაპარი; 2. იაპონური ავტომობილი; 3. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ისტორიული ხიდი ლონდონში; 6. ობობასნაირი შხამიანი ცხოველი; 9. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 11. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 15. ქართული ხალხური ცეკვების ქორეოგრაფთა საგვარეულო; 16. ნახატის, არქიტექტურული პროექტის წინასწარი მონახაზი; 17. მოჭიქული და მოხატული თიხის ჭურჭელი; 19. ზღვის ცხოველების გაქვავებული ნარჩენებისგან დამზადებული სამკურნალო ნივთიერება; 21. შენობის, ინტერიერის კონსტრუირება; 22. კიევის მერი.

თარაზულად: 5. ყველაზე დიდი ჩანჩქერი აფრიკაში; 7. ფრინველის კვერცხების შემსწავლელი ორნიტოლოგიის ნაწილი; 8. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 10. მოლაპარაკე ფრინველი; 12. მექსიკური სამეჯლისო ცეკვა; 13. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 14. კურკოვანი ნაყოფის მქონე, ზეთით მდიდარი მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარე; 18. იტალიური სამოდელო ფირმა; 20. ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური ეგვიპტეში; 23. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 24. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში; 25. აეროპორტი პრაღაში; 26. ისტორიული ციხე-სიმაგრე თბილისში; 27. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა